პოეზიის შექმნას, მაგრამ თითქმის არც ერთი მათგანის  
დრამატურგული ქმნილება არ ამაღლებულა მათი სხვა  
ნაწარმების დონეზე. იგივე იმხედ ჩვენშიც ილიასა და  
აკაკის მაგალითზე ეს ფაქტიც იმხედ შეწყველებს, რომ  
დრამატურგია ლიტერატურის უაღრესად რთული დარგია.  
ბულისინი მას პოეზიის გვირგვინს უწოდებდა. ი. ჭავჭავა-  
ძე კი წერდა: „ერთი დროს დრამის შექმნა დიდად ძნელი რამ  
არის, იმიტომ რომ დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა.  
სულისა და გულის დიდ ძვრებასა ახაგები და ასაწინაგებ-  
მეტისმეტი მჭრელი, მეტისმეტი მხილავი ნიჭი უნდა, მე-  
ტისმეტი ნათელი გონება, რომ კაცი მიწვედეს, შუკი რომ  
მოჰყავინოს იმ საოცარს, იმ უცნაურს საიდუმლოებას, რო-  
მელსაც ადამიანის სულისა და გულის ძვრა ჰქვინა და  
რომელიც იმოუდნად უფრო დიდ საიდუმლოებად გვეცი-  
ნება, რამოდენადაც უფრო ახლო მიუვალა.“

ილია და სხვა მწერლები, რომ დრამის შექმნა ყველა სხვაგ-  
ვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია. ამით ერთ-  
თხელ კიდევ ხაზი ესმება არა მარტო მის სირთულეს, არა-  
მედ, დრამას, როგორც პოეზიის სახეობას.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დიდი მწერალი ამაოდ  
შეეცადა მაღალმხატვრული პიესის შექმნას, ისინი მაინა  
ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ თეატრისა. მათ სულში არ  
ჩამჭვარა თეატრისადმი სიყვარული. მწერლობის თეატრში  
თეატრს არ დაუკარგავს თავიანი მალედი ღირსება. ამასთან,  
თეატრის ისტორია ბედნიერია, რომ მის სიყვარულს ამწვენი-  
ბენი დიდი მწერლობის პიესები, რომლებიც მის შემოქმე-  
დადებით პიროვნებას აფართოვებდნენ. მეტს სიღრმესა და სი-  
ლამაზეს სძენდა ტოლსტოის, პუშკინის, ბალსაკის, სერვა-  
ტსკისა თუ სხვა მწერლების დრამატული ნაწარმებებმა.  
რა გუთოდ, თუ არც ერთი მათგანი „ღონ კისობისა“, „ომი  
და მშვიდობისა“ ან პუშკინის გენიალური ლირიკის დო-  
ნემდე არ ამალბებულა?

კლასიკური მწერლობის ესოდენ დიდი დანატარება  
თეატრით თავისთავადც თეატრის დანიშნულების, მისი  
მიზნებისა და იდეალების სიღრმეზე მტკიცეობისა. თეატ-  
რალური სამყაროს არსში წვდომის სურვილმა. მისმა დიდ-

მა საზოგადოებრივმა იდეურ-ესთეტიკურმა ღირებულებამ და იმან, რომ იგი დიდი ეროვნული მნიშვნელობის კერაა, სადაც უმაღლეს პოეტურ ფორმაში ისახება ადამიანის ზნე-რწმუნება, განსაზღვრა გაბოძრული მწერალთა თეატრალური ინტერესი.

ლ. ტოლსტოი თანამედროვეობის დიდ კათედრას უწოდებდა თეატრს, ხოლო გერმანიათვის თეატრი იყო საზოგადოებრივი საკითხების განაწვევების უმაღლესი ინსტანცია.

როცა ვითხოვლობთ გენიალური რუსი კრიტიკოსის ბ. ბელინსკის მგზნებარე სტრქიონებს თეატრის შესახებ, გვაგონდება ქართული თეატრი, ქართული მწერლობა: ნ. ბარათაშვილი და ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი და გ. წერეთელი, ი. მაჩაბელი და ფ. კლიაშვილი, მ. ჯავახიშვილი, გ. ტაბიძე, ნ. ლორთქიფანიძე, შ. შაღლიანი, გ. ლიონიძე, ი. გრიშაშვილი, ლ. ქიჩინაძე, ს. ჩიქოვანი, გ. ქიქოძე, ტ. ტაბიძე, ხალხისანი მწერლები, ერთი სიტყვით, ქართული თეატრალურის თავკაცები, რომლებმაც დიდი „თეატრალური“ მეგვედრებობა დაგვიტოვა. ვიგონებთ იმათა, რომლებიც აღარ არიან, მაგრამ თეატრის ისტორიას შემორჩა ნათი ორიგინალური თუ თარგმნილი პიესები, ინსცენირებები, თეატრალური სტატიები, რეცენზიები, შეხედულებები, გვაგონდება მათი პრაქტიკული თეატრალური საქმიანობაც, თითქოს ყველას ნათვინი და გულისხმადები იყო დიდი ილიას სიტყვაები: „სქედმა იგივე შეოლაა, რომელიც ცხოველობის სურათებით ელპარაკება კაცის გულსა და ჰქაჟას, იგი ამ თავის თვისებით კაცის გონებაზედ უფრო მედგრად მოქმედობს. ვიდრე სხვა რამე. ამ მხრით არის იგი სახატრული, ამ მხრით არის იგი კაცის გონებისა და ჩვეულის გამაჯობებელი, გამშრმდელი, სეგნა ხალხის მჭერნიელი, ხალხის ბავშრდელი უნდა იყოს, და ამასთანაჲ... უკეთესი შესაქეობარა, უკეთესი დროს გასართობი, სულისა და გულის ამამდელი, სხვა ისეთი არა ვიცი თუ რა, სეგნის მეტი თუ ეს ძვირფასი თვისება, როგორც ხალხის წყრინა და ზრდა, სეგნას ჩამოაყალღეთ, იგი მიიჭრება და გაიძიქვე; და მაშინ სუბოს წაწყმდეს, ვიდრე სუფთადან“.

ილიასთვის ადვილი როდი იყო თეატრის დიდი ზეგნებითი ხელმძღვანელის როლის შესრულება. მისი რჩევადრიგებანი, კრიტიკული გამოსაკლები ყოველთვის აღტაცებას როდი იწვევდა თეატრის მუშაგებს შორის. იყო გულისტკივილიც, განაწყინებაც, წინააღმდეგობანიც. ამის შესახებ თავად წერდა ხოლმე ილია: „ვერაფერი გრთობა თეატრის რეცენზენტობა. ბიჭვი ავი და კარგია ვერთოროდებულ სასყილი ხელოვნების მიმალლობაში და პაკიოსნება და სინდისი ავალებს რეცენზენტს ერთი შენიშვნის და მოიფრცა გულწრფელად, მოუმთხვად, დაუმალოვად“. თუ მსახიობი შეაქვ, ხომ კარგი, მაგრამ თუ კუთხი სიჭიქი? თუ გააკრიტიკე? — აღარ დაგინდობს. „ამთ წარა-მარა ლა-პარაკის სულმოლედ ჩხრეკას რეცენზენტის სინდისისა — როგორთა გაუდღეს კაცი დღე-უნდა“ კითხვობის ილია და გვესმის თუ რაოდენ ძნელი უნდა ყოფილიყო სხვების მდგომარეობა, როცა თვით ილიაც კი შეუფიქრიახებია მსახიობთა პარიზობა!

მაგრამ ამებარ სირთულეს ილია როდი ჩამოუტოვებია თეატრისაგან. თეატრთან მეგობრობა მას სიკვდილამდე არ შეუწყვეტია.

ქართული თეატრის დიდი მოჭირანსულე იყო აკაკი წერეთელი. იგი ი. ჭავჭავაძესთან ერთად მხარში ედგა ქართული თეატრს, მათი ერთობლივი თეატრალური მოღვაწეობის აზრი იმაშიც იყო, რომ ერთიანი ძალით გამოეხატათ ქართული მწერლობის აქტიური პოზიცია ეროვნული დრამატურების დასაცავად. რასაკვირველია, როცა თეატრისა

და მწერლობის ურთიერთობის საკითხს ვიხილავთ, პირველ რიგში, ვგულისხმობთ სწორედ ეროვნული დრამატურების ბედიბიბოს. პირობებმა უაღრესად რთულია და შრავალპოზიანია. რეპერტუარი ქართული პიესის წილსვედრის საკითხი, მარტო პიესათა სტატისტიკური თანაფარდობის საკითხი როდია. პირველ რიგში უნდა განისაზღვროს რამდენად თანადროულია ესა თუ ის პიესა, რას მოუხანს იგი დღეს მაყურებელს. რამდენად სწორად გამოსატყუთ თანამედროვეობის საჭიროებოტო პირობებში.

ა. წერეთელი ხშირად საყვედურობდა თეატრსაც და პიესასაც, რომ ისინი გაძედილად არ უჭერდნენ მხარს ახალ პიესებს, სწორედ ამ გარემოებას „უნდა მივაწერთ, ისიც სხვათაშორის, — წერდა აკაკი, — რომ არტისტები ახალ პიესებს, ახალ-ახალ როლებს გაუბრინან და ძველებს ტიანებინან, იმ ძველ პიესებს, რომლის გზაც დიდი ხანია გატყვევილია და ხე ზედავლაც ადვილია, თუ საყური არ არის აკაკი“. აკაკი წერეთელი მოხარტულად ფაქტავ ასახელებდა. მისი აზრით, ამგვარი ბედი სწვევია გ. წერეთლის პიესას „თაჯისას ასული“. თრემე ზე იტყვიან, პიესა იმის გამოა დაუწინებანი, რომ მასში მოძრაობა არ არის და პიესაში ჩაუშვებიათ უსიტყვო როლები, მათი შემსრულებლები „მოძრაობის გამაძიებრებლად“ სცენაზე გარბოდნენ და გაბოზბოდნენ.

ი. ჭავჭავაძე აქტიურად უჭერდა მხარს ა. ცაგარლის დრამატურებისა და მის ნაწარმოებებს „ცხოვრების ცოცხალ სურათებს“ უწოდებდა. მ. საუაროვას თქმით, „ქართული პიესა ისე არ გაიჭაჭანებდა, რომ ილიას ამ წყევლობას, ამ არ შეესწორებინა როგორც ენობრივად, ისე მინაარსის მხრივ“. ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „დროების“ სახელით კომპროსიც კუ გამოაცხადა საუაროვას ქართულ პიესებზე. „იფრიალი“ სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში დაიბეჭდა და ერისთავის „სამშობლო“, ა. ყაზბეგის „ქვეყნის წამებული“, ა. ცაგარლის „მათიკო“, რ. ერისთავის „აღვოვატები“ და სხვა. მაგრამ ამ მხარდაჭერასთან ერთად ილია მყავრად აერთიტივდა სუსტ პიესებს, სპექტაკლებს მისა გამაძიებრებელი წერილი დაუწერა ა. ცაგარლის „ქართვის დღას“, როგორც ყალბ ნაწარმოებს, და ეს იმ დროს, როცა ასე გულთბილ სტრიქონებს უძღვნიდა ა. ცაგარლის სხვა პიესებს. ანალოგური მაგალითის დასახელებმა შეიძლება აკაკის მოღვაწეობიდანაც. ცნობილია, თუ როგორი გულთბილი ურთიერთობა ჰქონდათ აკაკის და კ. მესხს. კ. მესხი პარიზში ყოფნისას წერილებს წერდა აკაკის, უსიამოვნად თავის ფიქრებს, ვეგმებს, შთაბეჭდილებებს, „ჩამოიტანა ერთად რამდენიმე პიესას, გადათარგმნილს და მანდ შენის რჩევით გადაეკეთებ“, „მადლობელი ვარ შენი, რომ მონაწილეობა მიიღო ჩემს სასარგებლო წარმოდგენაში“ და სხვა ამგვარი წერილები სტრიქონები ნათლად გამოხატავენ თუ როგორი იყო მათი ურთიერთობა. მიუხედავად ამ მეგობრობისა, ა. წერეთელმა კრიტიკული წერილი დაწერა კ. მესხის პიესაზე „მარგატ მე-4“. აკაკი წერდა, რომ ეს პიესა „გაგონების ჩვენი ერთი რუსი მწერლის ბ. პოლომსკის უფერიო დრამას, რომელსაც „დარეგანი“ ჰქვიათი. „ქართველ ავტორს ეს დარეგანი გაუბრატებია, კამა გაუსდვენიბია, წვერ-ულგამი გაიზუბამა და გაუმტანია მითხველისთვის“ და დასაყენს: „ამის წამებობიხელს ანუ მხანველს ვეგნობა, რომ ჩვენს წარსულს ცხოვრებაში, გრდა საარტეფობისა, არა ყოფილია რა, მადლობა ღმერთს, რომ ეს ცილისწამებითი პიესა უფერიოდ არის დაწერილი, რომ შთაბეჭდილებას ვერაივე მოახვედრს“. სატრირული სიმძაფრით დაწერილ ამ წერილს განაწყინებულის პოზით როდი შესვდა კ. მესხი.

ისტორიული დარჩა სხვა ანალოგური შემთხვევაც. როცა ა. წერეთლის „კინტო“ დაიდგა, რ. ერისთავი კრიტი-

კული წერილით გამოეხმაურა მას. კრიტიკა უკომპრომი-  
სო იყო. აკ. წერეთელმა ამის დასუსდა თეატრის წერილით:  
მიმართა: პიესა სუსტია და კარგით ნუ დადგამთ. ასე მა-  
ღალი მოქალაქეობრივი პოზიციებიდან იხილავდნენ ჩვენი  
წინაპრები შემოქმედებითი წარმატებისა და წარუმატებ-  
ლობის შემთხვევებს.

ოლიასა და აკაკის მაგალითს სხვებიც ბაძავდნენ. სხვა  
მოღვაწეებიც ცდილობდნენ მიწაწილუბა მიეღოთ თეატ-  
რულურ ცხოვრებაში, ვთქვათ თავიანთი მართალი და პი-  
როუფენილი სიტყვა.

ქართველ მწერლებთან დიდი მეგობრობა აკავშირებდათ  
მსახიობებს: ვ. აბაშიძეს, ნ. გაბუნიას, მ. საფაროვას, ლ.  
მეხსინველს, გ. გუნიას, კ. მუსხს, კ. ყიფიანასა და სხვებს.  
მათ ქართული მწერლობის გარეშე ვერც კი წარმოედგინათ  
თავიანთი ცხოვრება და ყოველდღიური საქმიანობაც კი.  
მწერლობა და მსახიობის მეგობრობა ჩვეულებრივი მოვლე-  
ნა იყო, არაკის უკვირად იგი, არც უცა იქონებდა ამით  
ვინმე. ვ. გუნიას თავის სტატეგიაში ხაზს უსვამდა მწერლი-  
სა და მსახიობის პროფესიის საერთო ნიშნებს, ეწედა მათ  
შემხვედრად, „წერტილებს“<sup>1</sup>. მსახიობთა შემოქმედების გან-  
სწავლისას, იგი ხშირად აღნიშნავდა მსახიობის შემოქმე-  
დებითი ბუნების თავისებურებას და იმ საკითხს, რითაც  
იგი მწერლის უახლოვდებოდა: „ჩვენ, როგორც მწერლები  
შეიკ, უწინარეს ყოვლისა საჭიროა მართალი, უტყუარი,  
უმეტ-ნაკლებო გამოსახულება ადამიანის ბუნებისა“.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მწერლობასა და თე-  
ატრს განიზიარებდათ ჰქონდა საერთო ენა, ზოგჯერ მაინც შე-  
უძინებდნენ რჩებოდა ხოლმე ესა თუ ის პიესა. სხვადასხვა  
მიზეზით არ იდგებოდა ქართული მწერლის ზოგიერთი  
ნაწარმოებიც, კარგაც კი. ასე მოხდა ვაჟა-ფშაველას „მოკ-  
ვილითოსის“ და დ. კლდიაშვილის „ორივეს შედარების“  
მიმართაც. შეიძლება სხვა პიესების დასახელებაც, მაგა-  
რითაც. ვ. გვირგვინის „ოჯახის ასული“ და სხვა. მაგრამ  
მთავარი რაოდენობა რიოდა. ორიგინალური პიესების და-  
უდგმლობის მიზეზი სხვადასხვა იყო. ზოგ შემთხვევაში  
თეატრს არ ჰქონდა ტექნიკური საშუალება, წარმოედგინა  
მრავალპერსონაჟიანი პიესები, განსაკუთრებით მაშინ,  
როცა დიდი იყო მასობრივი სცენები. ისტორიულ თემაზე  
დაწერილი პიესების დადგამა კი ხშირად ხელს უშლიდა  
სცენისა და ჩაცმულობის სიღარიბე; ამის შესახებ გულის-  
ტკივლით წერდა აკაკი: „ერთი საუკუნე მკითხის ადარ  
გაუს“; სცენა კი „გაუღლებულია, სხვადასხვა ისტორიული  
ეპოქის გათავალისწინების დროს სინამდვილეს არ უმტ-  
ყუს“.

სულ სხვა ფაქტორები განსაზღვრავდა ვაჟასა და დავი-  
თის პიესების ბედს. ქართულ თეატრში არ იყო ფსიქო-  
ლოგიური დრამების დადგმის ტრადიცია; ამ მხრივ თე-  
ატრს არ ჰქონდა გამოცდილება და არც დიდი ყურადღე-  
ბით ეკიდებოდა ორიგინალური დრამატურგიის ამ ქანს.  
ასე იყო თეატრის ისტორიის გარკვეულ ეტაპზე. პროფე-  
სიონალ რეჟისორთა გამოჩენამ კი გზა გაუხსნა ფსიქოლო-  
გიურ დრამებს, განიღვნენ მისი ნიჭიერი შემსრულებლებიც!  
როგორც ვთქვამთ, ა. წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ და  
დ. კლდიაშვილმა დიდი ტაქტი და მომთხროვნეობა გამო-  
ამტყვეს. მათი მოქმედება ეს არის დიდი მოქალაქეო-  
ბრი პასუხისმგებლობის, საკუთარი თავისადმი მომთხოვ-  
ნელობისა და შემოქმედებითი მოკრძალების ბრწყინვალე  
მაგალიტი!...

ქართული თეატრის ისტორია ამშვენებს ვაშო მარაბლის  
სახელი. შექმნილია დიდი სცენური ისტორია ქართულ თე-  
ატრში ხომ სწორედ მარაბლის სახელთან არის დაკავშირე-  
ბული! ლევენდასავით დარჩა ა. ყანშვილის თეატრალური კა-

რიერი. დიდ მწერალს მარტო პიესებით როდი შეჰქონდა  
თავისი წვლილი ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში, მას სიკ-  
ვდილამდე არ განუღებია არტისტიული ვატაცება. თეატ-  
რისათვის იღვწოდა რ. ერისთავი. მისი ვრდილებები სის-  
ტემატურად იდგებოდა სცენაზე. თავად შექმნა პრაქ-  
ტიკულ თეატრალურ საქმიანობას. ასე, რომ „არ შეიძლე-  
და დასახელება ძველი ასე თუ ისე თვალსაჩინო მწერლის,  
რომელიც თეატრზე არ ყოფილიყო გადაკვეთილი.“ (ტ-  
ტაბიძე).

მე-20 საუკუნის დასაწყისში, უფრო სწორად, ათიანი  
წლებიდან ქართულმა მწერლობამ გულწრფელად მიიღო  
თეატრისა და მწერლობის ურთიერთობის ესტაფეტა.  
ტრადიციას აგრძელებდნენ ახალი თაობის მწერლები. მათ  
შორის იშთავითვე გამოირჩეოდა მ. ჯავახიშვილი. 1903  
წელს იგი უკვე საინტერესო თეატრალურ კრიტიკოსად გვე-  
ვლინება. მისი სტატეგია, „ჩვენ და ჩვენი თეატრი“<sup>2</sup> ეხება  
ქართული თეატრის უწინაშეგვიდგას პრობლემებს. სტა-  
ტეგიაში გამოირჩევა პრინციპულობით, მაგალით და ნათელი  
თეატრალური აზროვნებით. ჰუბუკი მწერალი გრძობს  
თეატრის გადასაღების აუცილებლობას და ამანახ-  
ლებებს პაოსით არის აღსასეც მისი წერილებიც. მ. ჯა-  
ვახიშვილს არასოდეს გაუწყვეტია თეატრთან კავშირი.

თეატრისადმი დიდი ინტერესს იჩენდნენ ნ. ლორთქიფ-  
ანიძე, კ. ვამსაზურდია და ლ. ქიანელი. ისინი წერდნენ რე-  
ცენზიებს, თეატრალურ კრიტიკებს, პიესებსა თუ ინსცენი-  
რებებს.

ლ. ქიანელი თეატრალურ პრობლემებზე სტატეგისაკ  
წერდა. ციფლობდა, გაეყო ძველი და ახალი თეატრალუ-  
რი სამყაროს ურთიერთკავშირი, დაენახა ის, რაც იძლეო-  
და ზრდიდა და განითავსებდა იმებს. სწორედ ამ თემას  
მიუძღვნა მან წერილი „ახალი თეატრის ძიებისათვის“.  
იგი წერდა: „ახალი თეატრის ძიებას ჯერ კიდევ არ მოუ-  
ცია დასრულებული სახე. ამის მიზეზი თვითონ თეატრის  
ბუნებაა, რომელიც უნდა ეყარებოდეს უშუალოდ სა-  
ზოგადოებრივი ცხოვრების რიტმს. ხოლო რადგანაც ეს  
რიტმი, განსაკუთრებით ჩვენს დროში, მუყავითა, თეატრში  
ამ გზით ვითარდება, ხელოვნების არც ერთი დარგი ისე არ  
არის დაკავშირებული ცხოვრებასთან, როგორც თეატრი.  
ამ მხრივ იგი სრულიად ეპოქალურია. ზედმეტად არ იქნება  
მოვიგონოთ ერთი უდიდესი მომენტის ისტორიად, როცა  
ცხოვრება და თეატრი სრულ გაერთიანებას მიიხვედ-  
ნენ. ეს იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, რო-  
ცა რევოლუციურმა კონვენტმა დეკრეტი გამოცხად, რომლის  
ძალით პარიზის მთავარი მოედანი სცენად უნდა გადაქცე-  
ულიყო და რევოლუციის მთავარი მომენტები წარმოდგე-  
ნის სახით უნდა გადაშლილიყვნენ სწორედ ამ მოედანზე  
მთელი ხალხის მონაწილეობით“.

ამას წერდა ლ. ქიანელი ჩვენი საუკუნის ოციანი წლე-  
ბის დასაწყისში, მეტად რთულსა და მულღავრე ეპოქაში,  
ახალი თეატრლობის აღზევების პერიოდში.

ვერც ერთ ქართველ პოეტს ვერ წარმოედგინა თეატ-  
რის გარეშე ცხოვრება. მათი თეატრალური ენებანი ფა-  
რთოდ იყო იმეგავნე ცნობილი.

გ. ტაბიძეს ხომ სარეჟისორო კურსებიც ჰქონდა დამ-  
თავრებული. ამას გარდა მისი პოეტური სამყარო მიღეა-  
რია თეატრალური სახეებით, თემებით, შთაბეჭდილებებით.  
პოეტმა არა ერთი ლექსი უძღვნა ქართველ მსახიობებსა  
და თეატრს. იგი უმღერის ფარდის მიღმა გახიდულ სი-  
ნამდვილეს, რომელიც მომავალდგებელი, ფარული სიმბოლე  
არის დაკავშირებული პარტეტთან. თეატრი მისთვის ცხოვ-  
რების ეკვივალენტია, სამყაროს გამოჩენება მინიჭატურაში.



სცენაზე მიდის  
 აღამიანთ შური და მტრობა:  
 ხან სიხარულის,  
 ხან ტირილის გულღვარძლი გრძნობა —  
 ხანახანობა!  
 ყველგფერი რუტინის გარდა,  
 არ ვგავსორებს მას  
 მშვენიერი თეატრის ფარდა.

დროთა მიხედვით გალაკტიონის წარმოსახვაში უფრო მრავლად ვხვდებით თეატრალური სანახაობა. იგი უპოვოდდება მის წარმოდგენას ცხოვრების წინააღმდეგობებზე.

ოციანი წლების პოეტებისათვის განსაკუთრებულად ფასეული გახდა თეატრი. თეატრმა მათ სამყაროში დაიჭირა გამორჩეული ადგილი. ვალერიან გაფრინდელის წერდა: „თეატრი არის მინიატურა დედამიწის... ის ნამდვილი სიმბოლიკაა ჩვენი მშვენიერი და საშინელი ცხოვრების... თეატრი არის ცხოვრების ნილაბი“. „ცისფერყანწველების“ პოეტურ არსნაწილში თეატრმა განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. მაგრამ არა მარტო ისინი, ამ პერიოდის თითქმის ყველა პოეტი იყო გატაცებული თეატრით. ვარკუნის მარადიანი რომანტიკოსები და რაინდები ვარკუნ, — ამბობდა გ. გაფრინდელი და ეს თითქმის ქართული პოეტების მახიფესტი იყო. შემთხვევითი არც ის გახლდათ, რომ კორპორაცია „დურუქს“ მხარში ამოუდგინა ქართველი მწერლები. პირველ რიგში ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, ს. ჩიქოვანი, ბ. ქლუნტი, შ. აფხაბაძე და სხვები. როგორც ყოველ ბუნებრივ აფეთქებას, რომელიც მიმართულია ძველ-ძველ და დრომოჭმული წინააღმდეგ, „დურუქსაც“ ჰქონდა თავისი უკიდურესობანი, მაგრამ ძირითადად მან დიდა როლი შეასრულა თავის დროზე თეატრის შემოქმედებით: და ორგანიზაციულ ცხოვრებაში. იგი გამოვიდა ქართული მწერლობისა და თეატრის დამკავშირებლის როლიში.

პოეტებს შორის თეატრთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ი. გრიშაშვილს, იგი თეატრის სუფლიორი იყო. „მოგონება სუფლიორის ნივარდისა“ — ამ სათაროში წერილიც კი დაბეჭდა მან ლ. მუსხიშვილის შესახებ. პოეტ-გულწრფელად აღიარებდა, რომ ცხოვრება თეატრის გარეშე ვერ წარმოიდგინება. თეატრი იყო მისი სკოლა, გასაკლველი. „რამდენჯერ მითქვამს და ვამბობ, რომ ქართული თეატრი, ... ჩემი განვითარების კერა იყო. რაც სკოლაში დამეპოლო, ის თვითგანვითარებით შევისრულე. თუ ჩემი გულის შინასწავლში რაიმე კარგი სუფევს, ეს ჩემი კორიდვეების სიხალისის ნაყოფია, როგორც დაკვირვებულ მალში, დავეურებდი ხოლმე ჩვენი არტისტების სიტყვა-პასუხს და გონების ფირფიტაზე გადაქმნიდა მათი ავ-კარგი. რა ბუმბერაზს მსახიობთა შორის ვტრიალებდი. მაკო საფაროგი! ვასო აბაშიძე, ლადო მუსხიშვილი, კობე ყიფიანი, კობე მესხი, ვალერიან გუგუია, ნატო გაბუნია... რა თბილური ვყოფილვარ და არ ვაფასებდი...“.

ი. გრიშაშვილმა ბევრი ლექსი უძღვნა თეატრს, მსახიობებს. დიდი პოეტური შთაბეჭებით არის დაწერილი მისი „მარჯანიშვილის სურათიან“.

ი. გრიშაშვილს გუთუნის საყურადღებო თეატრალური გამოკვლევები, პორტრეტები, სიუჟეტები, ემოციური პოეტური მოგონებები გარდასულ თეატრალურ დღეებზე. არტისტული მანერა სიკვდილამდე შერჩა ლექსების მიხედვით კითხვას....

გ. ლონიძის კალამს გუთუნის რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევა ქართული თეატრის ისტორიის საკითხებზე განსაკუთრებით ერეკლე მეფის სახალხო კარის თეატრის შესახებ. საინტერესო წერილია „ტფილისის ოპერა 50-იანი წლებში“. იგი ისეა დაწერილი, რომ ჩვენს წინ აცო-

ცლებს გასული საუკუნის 50-იანი წლების საქართველოში კულტურულ ცხოვრებას. მსატრელად გამოდგევენ თბილისის მაშინდელი საზოგადოების სულიერი განწყობილებას, ქართული ოპერის ცხოვრების სურათებს.

„მაგრამ ოპერის სცენაზე მიაგაჭული იყო ოქროს ჯაჭვით არა მარტო სატახტო თბილისი, არამედ მთელი საქართველო, მთელი „კავკასია“, თოვლიანი მთებით“ — წერს პოეტი.

(სალკე კვლევის თემაა „თეატრი გ. ლონიძის პოეზიაში“. ამგვარი თემა შეიძლება გამოვიღო ს. ჩიქოვანის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ა. აბაშიძის, კ. ნადირაძისა და სხვა პოეტების მაგალითებზეც. აღარას ვამბობ შ. დადიანის, ს. მასშიაშვილის, ს. კლდიაშვილის, ა. ქუთათელის, დ. შენგელიას, კ. კალაძის შესახებ, — ზოგი მათგანი ზომიერადარა ბრტყელად ედგა ნეკრესობასა და თეატრს, რათა ისინი ერთმანეთისათვის დაეკავშირებინა.

ქართული მწერლობა თეატრში ხდებოდა დიდ რომანტიკას, გრძნობად მის სუბიექტს, თეატრალურ გახვედვას. კ. მარჯანიშვილი და ს. აბმეტელი იყვნენ ის თავგადაცემა, რომლებიც ქართული მწერლობის „თეატრში“ შეღწევისათვის ზრუნავდნენ. მათი შემხედვარე მსახიობებიც მუდამ თქვ იყვნენ, სადაც ქართული მწერლობა იყო. არც მწერლები რჩებოდნენ ვალში. ისინი თეატრში მიაბატებულნი სტუმრები რდი იყვნენ. ერთი სიტყვით, ურთიერთობა მაღალ დონეზე იდგა.

მაგრამ იყო კამათი, ჭიდილი, სინანული. მანც არავის არ აზნაყოფილება დონე მწერლობისა და თეატრის ურთიერთობისა. „ქართულმა მწერლობამ და თეატრმა უნდა ნახონ ორგანული კავშირი. ეს არის ტრადიციული მწერლობისა და თეატრისაც“. — ამბობდა ტ. ტაბიძე.

ს. აბმეტელი თავის ერთ-ერთ სიტყვაში გულისტყვილით აღნიშნავდა: „ქართული თეატრი ქართულ მწერლობასთან მტკიცე დამოკიდებულებით უნდა იყოს. რაც შეეხება ზოგიერთების აზრს, რომ თითქმის რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელს არ უნდა ქართული რეპერტუარის შექმნა, ეს ბრალდება უფრო ადრე წამყვებელი იყო კოტე მრავალნიშნის წინააღმდეგეა და წამყვებელია დღესაც. არც მაშინ და არც დღეს მას არავითარი ნივთი არ ჰქონია და არც აქვს“. და ბოლოს, დამკვირვებით აცხადებდა: „მე ვიმეორებ, ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობს თეატრსა და მწერალთა შორის, უსათუოდ უნდა განმტკიცდეს და ქართული თეატრი უნდა დაიპყროს ქართველმა დრამატურგებმა“.

თითქმის დღეს არისო თქმული, იმდენად თანამედროვედ გლერს იგი. ირკვევა, რომ ჩვენთვის სსიქილად დრის, როცა ქართულ მწერლობასა და თეატრს აბმეტენდენ დიდ აღამიანთა სახელები, მაშინაც კი დიდი უკმაყოფილება ყოფილა მწერლობასა და თეატრს შორის. იყო ერთფილიტები, აზრთა სხვაობა, ზნორად დაძაბული ურთიერთობაც კი. მაგრამ გაივდა დრო და ისტორიის ფეკრზე დაიღვქა ის, რაც ყოველდღიური ურთიერთობის ხანათს ატარებდა და არ შეიცავდა იმ ტენდენციას, რომელსაც განვითარების რაიმე პერსპექტივა გააჩნდა. მომავალ თაობებს დატრისტულებული ფორმით გადაცვა ის, რაც ძვირფასი და ღირებული იყო მათს დამოკიდებულებაში. ეჭვი არ მგზარება, რომ ბოლო წლების თეატრალური პრაქტიკიანობა ბევრი საყურადღებო ფაქტი გადაცვალა შემდგომ თაობებს. მათაც ექნებათ საშუალება გაიგონ თუ როგორი იყო თანამედროვე მწერალთა და თეატრის მოღვაწეთა ურთიერთობა, დანიანო მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ზომ ფაქტია ქართული დრამატურგიის დიდი წარმატება საკავშირო მარშტა-

ბით? განა ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ ჩვენმა თეატრებმა არ შეასრულეს? დიას, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენიდან დაიწყო დიდი ტურნე ნ. დუმბაძის პიესებმა. ამავე სცენაზე ხვდა დიდი წარმატება ა. გუყაძის პიესას „წმინდანები ჯოჯოხეთში“. რუს-თავაღობის სახელობის თეატრიდან გაესხა გზა თ. იოსელიანის პიესას „სანამ ურემი გადარბოვდება“ და გ. ნახუციანიშვილის „ტიტურატას“. რუსეთის თეატრებმა ა. ჩხაიძის „ხიდას“. შეიძლება ან სიის გაგრძელება, მაგრამ რა საჭიროა მტკიცება იმისა, რაც ცხადზე უცხადესია?

არასოდეს დადგმულა ჩვენ სცენაზე ამდენი ქართველი ავტორების პიესა. სცენებისა და გაიკვლია საშუალო დონის თითქმის ყველა პიესამ, ზოგჯერ იდგებდა სუსტად. თითქმის აღარაფერი დარჩა გასაისცენირებელიც. მაგრამ რცხობიერის ცვლილება ყოველთვის როდი პოულობს ხარისხში გამოსატოლებს. ჩვენი დრამატურგიასადმი მხარდაჭერის კურსი უნდა გაგრძელდეს. ამ რთულმა და საპატიო საქმეს დიდი სიფრთხილაც სჭირდება. რა დასამაობა და, ზოგჯერ ამ „მხარდაჭერის“ საბაბით სცენაზე ფესვს იკედნებს სუსტი, უღიმამო ნაწარმოებები. განა მართლა ყველა ქართული ნაწარმოებია, რაც ქართულად იწერება? განა ყველა პიესა, რომელსაც ჩვენ მართს ვუჭერდით, წინაპირობა აღმოჩნდა ახალი შემოქმედებით წარმატებისა? რასაკვირველია, არა. ჰოდა, ყოველივე ამას ღრმა ფიქრი და განსჯა უნდა.

არც ის არის საიდუმლო, როცა ზოგიერთი მწერალი თავისი „დრამატურგიული სისუსტის“, ან შემოქმედებითი კრიზისის მიზეზს სხვებში ხედავს. არ უნდა თავს გამოუტყოს, საკუთარ შესაძლებლობებში ვითის იგი. რასაკვირველია, უფრო ადვილია (მაგრამ ძველი ხერხია) სხვას (თეატრს) გადააბრალო შენი წარუმატებლობა, როცა ამის საშუალება არსებობს. თეატრი სწორედ ის დაიწყო ბუღალაა, რომლის მიმართ ამგვარი ბრალდების წაყენებაც ყოველთვის შეიძლება. პიესა ვერ დაწერა მწერალმა, თუ არამა არ მიიღო და მწერლისაგან უკვე შეჩინსულია იგი. ბევრს ვიცნობ ამგვარად განაწყენებულ მწერალს. არის სხვა გზაც. თეატრი დავას პიესას, რომელიც ვერ პოულობს ფართო აღიარებას და ავტორიც მიზეზებს ისევ თეატრში ვძებნ. ეს უკიდურესად სუბიექტური და მოკიდებულია ზოგჯერ ანელეს ქართული ორიგინალური დრამატურგიისადმი თეატრის ინტერესს, ხელს უშლის ნორმალურ მუშაობას.

მაგრამ ეს არის საკითხის ერთი მხარე. მეორე მხრივ, თითქმის იგივე მეორედება დრამატურგების მიმართაც. სპექტაკლი ჩავარდა, ვინ არის დამნაშავე? ავტორი — ხშირად გესმინა რეჟისორებისაგან. მეორეა, რა მოაქვს ამგვარ შეპირისპირებას? კარგი არაფერი. ორივე მხარეს წარმატებით შეძლია ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებების მტკიცება. ფაქტობრივ ორივეს უნდა მოეპოვება. მაგრამ ამით საქმე წინ ვერ წავა. ერთი რამ ცხადია: ახლა უმთავრეს როლს მიიჭრ რეჟისურა ასრულებს. აქ არას ჩვენი თეატრის აქილევსის ქუსლიც. ყველაზე მეტად დამაფრთხილებელი სწორედ ეს მხარეა. სამწუხაროდ, რაც არის, ისიც არაა ჯეროვანად გამოყენებული.

ცნობილია, რომ პიესა ორმაგი ბუნებისაა. მწერლის მავალდასთან იგი ლიტერატურული ფაქტია, ხოლო სცენაზე — სხვადასხვა თეატრალური მოვლენაც. ერთი მხატვრული სინამდვილის მეორეში გადასვლის, გარდატეხის პროცესი ურთულად რთულია და ამიტომაც არის, რომ თეატრში ერთი პიესის იმდენჯერა გადაწყვეტა არსებობს, რამდენი რეჟისორის ხელიც ეჭება მას. გარდაქმნის ამ

პროცესს ზოგიერთი პიესა ვერც უძლებს. ამ დროს ხდებოდა შეუსაბამობა, აშკარა წინააღმდეგობა დრამატურგსა და რეჟისორს შორის. პირველი მუკრლობის სახელით მოქმედებს, მეორე თეატრისა. ასეთ განსოვადებულ მასშტაბს იძენს კონფლიქტი, რომელიც წარმოსდგება არა რომელიმეს კაპრიზიდან, არამედ მხატვრული აზროვნების თავი-თავისაგან. ამგვარი შემთხვევები, რაოდენ საზიზოც არ უნდა იყოს, მინც პოულობს თავისებურ გამართლებას, მაგრამ არსებობს წინააღმდეგობათა უფრო გავრცელებული ფორმები, რომლებიც ბუნებრივობას და თეატრს შორის არაჯასად აღმოფხვრის ქმნიან. მაგრამ ქართული თეატრისა და დრამატურგიის განვითარების ინტერესები მოითხოვს ურთიერთობათა მთელი კომპლექსი განხილულ იქნას მაღალი მოქალაქობრივი პოზიციებიდან. უნდა შევვადლოს ობიექტურად შევადგათ ამ ურთიერთობათა მიზნები და ამოვანებო. ვეძებდით იმ გზებს, რაც ასახოებს მწერლობას და თეატრს, რაც შეადგენს მათი თანარსებობის საფუძვლებს.

ჩვენ გამყოფი არ უნდა ვიყოთ ჩვენი დრამატურგისა და ჩვენი მწერლისა, მიუხედავად საკულისხმო მიღწევებისა. არ უნდა ვიყოთ დამპყდენულები, რადან ჩვენი თეატრები ყოველწლიურად 15-20 ახალი პიესა სჭირდება. ჩვენ გამობით ყოველწლიურად და არ გვიყვარს, რომ ამგვარ მოთხოვნებს არ უკუვებთ ლიტერატურის სხვა არც ერთი განს. პიესა, რომელიც მიმდინარე სუბიექტურად, რამდენიმე თვის შემდეგ უკვე წარსულში გადადის. თეატრს კი არ შეუძლია წარსულში ცხოვრება.

ერთი წუთით რომ დავუშვათ და ასეთივე მოთხოვნილება განდეს პროზას და პოეზიისაშიც, როგორ იქნება ამ მხრივ მდგომარეობა? ყოველწლიურად დაიწყოება კი 15-20 საუკეთესო მოთხოვნილება? ასე რთულ და სპეციფიკურ მდგომარეობაში მოქცეული თეატრი თავისი ორმაგი ბუნების გამო (თეატრი შემოქმედება, თეატრი გვემირა წარმოება!). ამდენად, მეუბნე ახალი და საჯარო გამოცდების წინაშე დავან ხოლმე ჩვენი დრამატურგებიც.

მხატვრული ოსტატობის, თემებისა და პრობლემების სიღრმის, ფორმათა მრავალფეროვნების საკითხი კვლავ მწვავედ დგას ჩვენი დრამატურგის წინაშე. ინტელექტუალური სიღრმე, ცხოვრების საჭირბოროტო მოვლენების არსში წვდომის უნარი, ხალხისაგანის ესოდენ გასაცემა და ახლობელი ადამიანების მთელი სისრულით გადმოცემის პრობლემა ჩვენი დრამატურგიის უპირველესი საზრუნავია. ჩვენ იმდენი შევცქერით მის ხვალისდელ დღეს, რადგან კარგველი ძვრები უკვე მოხდა. იმდენის გამართობა კი მას შეუძლია, ვინც ამ გამყოფილებმა მიღწეულით, ვინც დაუცხრობლად ეძებს, მიისწრაფის, კრიტიკულად ავსაქებს თავის შესაძლებლობებს.


ჩვენ გამყოფი არ უნდა ვიყოთ ჩვენი თეატრების მუშაობითაც. ვერ კიდევ ბევრია სუსტი ადგილები დრამატურგებთან ურთიერთობაში, ყოველთვის როდია კარგად მოფრთხილებული მისხანსწრაფული იგი. არის გულგრილობის, უპირინაპიობის ფაქტებიც. მაგრამ ქართულ თეატრს უკვე აქვს დიდი გამოცდილება და ტრადიცია მწერლობასთან ურთიერთობისა. ამ ტრადიციის ნაკვეთს მინდავეს იგივე საუკეთესო გამოცდილებებიც.

განსაკუთრებით ახლა საჭირო მთელი შემოქმედებითი ძალების კონსოლიდაცია. ურთიერთგაგების, დამხმარების, ჯანსაღი შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა მწერლობასა და თეატრს შორის, ახალი წარმატებების საწინდარიც არის.

# სურთომოდვრის

## ბ ზ ა

სიმონ კინწურაშვილი



კ. ჩხვიძე.

ავტობიოგრაფი (ფანჯარი).

იმი სულ პატარა იყო, როდესაც პირველად შეხვდა ხელოვნებას — მეორე კლასის მოსწავლე ჭიათურის თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობდა. იმ დროს აქ მოღვაწეობდნენ ქართული სცენის კორიფეები — ნუცა ჩხვიძე, ალექსანდრე იმედაშვილი... მისგან მსახიობი არ გამოვიდა, მაგრამ თეატრთან კავშირი მთელი ცხოვრების მანძილზე არ გაუწყვეტია.

ახლა კონსტანტინე ვიარესლავის ძე ჩხვიძე საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ცნობილი ქართველი საბჭოთა სურთომოდვარია.

იგი დაიბადა 1912 წელს, სოფ. დარკვეთში. საშუალო სკოლა 1930 წელს დაამთავრა თბილისში.

კ. ჩხვიძე მოწაფეობის წლებიდან ეძებს თავის მოწოდებას — მონაწილეობს მიხეილ კალატონიშვილის ფილმში; მეგობრებთან ერთად დგამს და აფორმებს მოყვარულ სპექტაკლს; წარჩინებით ამთავრებს მოსკოვის თეატრის სახალხო სამხატვრო სტუდიას... შემდეგ მოსკოვის მიაშურა, სადაც ერთი წელი მხატვრად მუშაობდა „მოსტირიოტკაის“ ტრესტში.

1932 წელს საბოლოოდ აირჩია მომავალი პროფესია — ახალამოყალიბებულ მოსკოვის არქიტექტურულ ინსტიტუტში ჩაირიცხა სტუდენტად. 1937 წელს დაიცვა სადინლომო პროექტი — პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კომპლექსი თბილისში. სასახლე განლაგებული უნდა ყოფილიყო გორაკზე, სადაც ამჟამად ცირკის შენობაა. ან-სამილი ტერასებდ ეშვეობა მტკვრისკენ — იქ, სადაც ახლა რესტორან „არაგვის“ შენობაა. პარკში გათვალისწინებული იყო პიონერთა კოცინის, ჭიაკოკონას მოედნები, ციხე-კოშკი, ღვებების გამოქვაბული...

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მაღალი პროფესიული წრითის მისაღებად კ. ჩხვიძე მოსკოვში რჩება სამუშაოდ. მოსკოვის საბჭოს აღმასკომის მშენებლობის და არქიტექტურის განყოფილების № 2 მაგისტრალურ სახელოსნოში ახალგაზრდა სურთომოდვარი ამუშავებს მოსკოვში რესტორან „არაგვის“ რეკონსტრუქციის პროექტს და ხელმძღვანელობს მის ნატურაში განხორციელებასაც. იგი ცდილობდა თბილისური სარდაფების მსგავსად დაბალი თაღებით, ხალხური არქიტექტურული მოტივებით (კრამიტით გაწყობილი ხის ლავგარდანი ორსინათლიანი დარბაზში) და მოჩუქურთმებული სვეტისთავებით ქართული კოლორიტი შეექმნა. კედლები დამშვენეს ირ. თოიძის პანოებმა. ახალგაზრდა სურთომოდვრის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ (ერთგვარი პარადულობა და მოჭარბებული მდიდრულობა, რასაც ემატება თემატური პანოების ლაკირებული სიუჟეტები და ხელოვნური კომპოზიციები) „არაგვი“ დღემდე დარჩა ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ და პოპულარულ ქართულ რესტორანად მოსკოვში...

1939 წელს კ. ჩხვიძე შედის სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის ასპირანტურაში. აქ იგი გამოჩენილი საბჭოთა არქიტექტორის ივანე ჟოლტოვსკის ხელმძღვანელობით ამუშავებს სადისერტაციო პროექტის თემას „თბილისში ლენინის სახელობის მოედნის რეკონსტრუქცია“.

1941 წელს კ. ჩხვიძე ბრუნდება საქართველოში და სხვადასხვა დროს მუშაობს — თბილისის მთავარი არქიტექტურის სამმართველოში (ქალაქის და სამხედრო მნიშვნელობის ობიექტების შენობებზე), ჭიათურის თეატრის მხატვრად, არქიტექტორად — „საკომუნპროექტში“, შემდეგ ტრესტის „ჭიათურმარგანეცი“ კაპიტალური მშენებ-



ლობის განყოფილებაში, ხოლო 1950 წლიდან — „საქ-სახმანტპროექტი“-ს. 1951 წელს ინიშნება აღნიშნული სა-პროექტო ინსტიტუტის მთავარ არქიტექტორად. 1963 წლიდან დღემდე კი იგი თბილისის ამიერკავკასიის ზონა-ლური სამეცნიერო-კვლევითი და კონსტრუქციულ-საპრო-ექტო ინსტიტუტის № 3 არქიტექტურულ სახელსნოს ხელმძღვანელობს.

ახლა კონსტანტინე ჩხეიძე 60 წლისაა... და ჩვენ გვანტერვებს რამ განაპირობა მისი, რო-გორც ხუროთმოძღვრის, ზრდა, შეცდომა თუ გამარჯვება, სიმწიფე.

პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ კარგი პროფესიუ-ლი სკოლა, რომელიც მან მოსკოვში გაიარა. იმ წლებში ბევრმა, მაშინ სულ ახალგაზრდა, ამჟამად ცნობილმა ქარ-თველმა ხუროთმოძღვარმა მიაპურა მოსკოვს. ესენი იყე-ნენ — მიხეილ ბუზოლდი, გიორგი ლეჟავა, მიხეილ მე-ლია, ლინგინოზ სუმბაძე, ლევან ქელბაქიანი (დაიღუპა დიდი სამამულო ომში) მისიელ ჩხიკვაძე... მათი სურვი-ლი გასაგები იყო — მეტი ენახათ, მეტი ესწავლათ. ეს კარგი ტრადიცია დღესაც გრძელდება.

კ. ჩხეიძეს სახვითი სელონების საგნებს ასწავლიდნენ საბჭოთა სელონების დიდი მოქანდაკეები ვერა მუზინა და ივანე შნადარი...

უკვე ნახსენებ № 2 სახელოსნოს, სადაც პირველი და-მოუკიდებელი პროფესიული ნაბიჯი გადადგა კ. ჩხეიძემ, ხელმძღვანელობდა გამოჩენილი საბჭოთა არქიტექტორი, აკადემიკოსი ალექსი შჩუსევი...

ჯერ სულ ახალგაზრდა კ. ჩხეიძე ცდილობს შემოქმე-დებითი კონტაქტი დაამყაროს ცნობილ მხატვარ, ეგვიპტი ლანსერესთან. მხატვარი ქმნის რამდენიმე ესკიზს რესტო-რან „არავის“ მოსახატავად. მხოლოდ სხვადასხვა მიზე-ზების გამო არ განხორციელდა ქართული ეთნოგრაფიისა

და ბუნების ჩინებულ მცოდნის, ფერწერის დირექტორს ჩანაფიქრი...

კ. ჩხეიძე უშუალო, მეგობრული და პროფესიული კონ-ტაქტებით იყო და დღემდე არის დაკავშირებული მოსკო-ველ კოლეგებთან. ვინც მასთან ერთად მცირე ხნი-თაც კი მოხვედრილა მოსკოვში, უმაღლ დარწმუნ-დებოდა, თუ როგორი გულწრფელი სიყვარულითა და პა-ტივისციემით ხვდებიან კ. ჩხეიძეს მისი ინსტიტუტის თანა-კურსელი ვლადიმერ ბუტუშოვი (ამჟამად სსრ კავშირის სახმშმშის ერთ-ერთი დიდი სამმართველოს უფროსი), ას-პირანტურის თანაკურსელები — დიმიტრი ბურდინი, ევ-გენი სტამო (ლენინური პრემიის ლაურეატები), თანამო-საქმენი № 2 სახელოსნოდაც — მიხეილ პოსოზინი (ლენი-ნური პრემიის ლაურეატი), დიმიტრი ჩერულინი (სახელმ-წიფო პრემიის ლაურეატი) და სხვანი. ეს ყველაფერი უნ-და მივაწერთ კ. ჩხეიძის პირად ადამიანურ თვისებებს — ადამიანებთან ხალისიან, კეთილ დამოკიდებულებას, უშუა-ლო ბუნებას.

მოსკოვმა, მოსკოველმა მასწავლებლებმა და მეგობრე-მა კ. ჩხეიძის ცხოვრებას დიდი კვალი დააჩინეს, მაგრამ არც მის იქ ყოფნას ჩაუვლია უკავად დედაქალაქის ხუ-როთმოძღვრული საზოგადოებისათვის.


მოვიგონოთ, თუ როგორ შემოქმედებით ატმოსფეროში, რა მხატვრულ-იდურ საფუძველზე ხდებოდა კ. ჩხეიძის დასტატება, ჩამოყალიბება. მაშინ გასაგები იქნება მისი ადრეული ნაწარმოებების მხატვრულობა. მით უმეტეს, რომ კ. ჩხეიძე გამოჩალისი არ არის — მისი შემოქმე-დება სარკვე იმ პერიოდის საბჭოური ხუროთმოძღვრებისა.

30-იანი წლების მეორე ნახევარი საბჭოთა არქიტექ-ტურის ისტორიაში ე. წ. „აკადემიზმის“ საბოლოო გა-მარჯვებით ხასიათდება. ახლა აღიარებულია, რომ „აკადე-მიზმმა“ — ძველი არქიტექტურული სტილებიდან (მათ შორის ქართული ისტორიული არქიტექტურის არსენალი-



თბილისის საბავირო გზის ქვედა სადგუ-რის ინტერიერი.

დრამატული თეატრის მცირე დარბაზის შესასვლელი (პროექტი).



დან) ნასესხები გვემარებოთ, მხატვრული პრინციპების, დეტალების გამოყენებითა და ამ გზით ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური არქიტექტურის შექმნის ცდებით — საბოლოო ჯამში უარყოფითი როლი ითამაშა საბჭოური არქიტექტურის განვითარებაში. მაგრამ, ისიც დადგინოლ ფაქტად უნდა ვაღიაროთ, რომ თავის დროზე ეს ისტორიულად გარდუვალი მოვლენა იყო. „აკადემიზმის“ გამარჯვება განაპირობა სხვადასხვა მოვლენათა კომპლექსმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასპირანტურაში სწავლისას კ. ჩხეიძის უშუალო ხელმძღვანელი იყო დიდი ოსტატი, საბჭოთა არქიტექტურაში „აკადემიზმის“ აღიარებული მამამთავარი ი. ჭოღოტოვსკი. უცილობელია წლების მანძილზე მისი ავტორიტეტის დიდი გავლენა. თანამედროვე არქიტექტურის შექმნისას მისთვის კლასიკური, რენესანსული იყო თავიდათავი. მაგრამ მაღალი პროფესიული სკოლა და ნამდვილი შემოქმედის ნიჭი, ალღო საშუალებას აძლევდა მას ოსტატურად, ახლებურად აემტკიცებინა გასული საუკუნეებიდან მოტანილი ორდერული სისტემა თუ კედლის ტექტონიკური წყობა, თავისებურად დაეხატა ესა თუ ის დეტალი. პრინციპში ეს არ იყო სწორი გზა — ძველის გადმომღერება, გაღვიძება დასაშვები, მაგრამ არა თვითმზნური ხერხია. ამას მივყავართ სტილიზაციამდე, კელექტივამდე. ასეთ სიტუაციაში მიმამძევლები და დაბალი ნიჭის, რანგის ოსტატები იოლად გადადიან — უფრანკი, ანაზომით და სხვ. ძიებდა დუნდება, იდენებდა. ამას ემატებოდა მოთხოვნა — ყოველი მუშაო ყოფილიყო რაც შეიძლება გამორინებული, პომპეზური, შექუთი.

როგორც ვიხილავთ 30-40-იანი წლების ნაწარმოებებს, ყველაფრის ხელალებით უარყოფა, დაკვირვა არ შეიძლება; ამ დროს ბევრი კარგი, ნამდვილი ფასეულობა შეიქმნა. კლასიკური თუ ეროვნული საშობით გაწყობილ ნაგებობებში საკმარისა ჯანსაღი არსის ძებნა. ამას კი, რასაკვირველია, აღმოვაჩინებ მხოლოდ იმ მხივიერ შემოქმედთა ნაგებობებში, რომლებმაც კარგი პროფესიული წვრთნა მიიღეს. ასეთთა რიცხვს მივუთვნიებ კ. ჩხეიძე.

კლასიკური არქიტექტურის საკრთო პრინციპები, გვერდისა და ფსაადის ურთიერთმეხატვისობა და დავეწვი-

ლობა, ლაკონური, ნათელი კომპოზიციური აგება, დეტალის კულტურა და ა. შ. — აი, რა შეითვისა მან მასწავლებლებისაგან და რისი გადმონერგვა სცადა ეროვნულ ნიადაგზე. ამ საქმეში იგი მარტო როდი იყო — მამინ ქართული საბჭოთა არქიტექტურის გამორჩენილი ოსტატები ამ საშუალებით ეძებდნენ სოციალისტური ხუროთმოძღვრების შექმნის გზებს.

ახლა კ. ჩხეიძე რესპუბლიკის ქალაქებში აშენებული მრავალი, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობის ავტორია. მათ შორის, როგორც ყველაზე დამახასიათებელი მისი შემოქმედებისათვის, ცალკე ჯგუფად შეიძლება გამოიყოს სანახაობო ნაგებობები — დრამატული თეატრები ჭიათურაში (რეკონსტრუქცია 1946-49 წლები. სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია, 1950 წ.) და მახარაბეში (1947-62 წლები), კულტურის სახლები ტყიბულაში (გ. სიხარულიძესთან ერთად. 1953-60 წლები), ტყვარჩელში (1953-58 წლები) და სხვა. იგი სოხუმში მ. ჩინკვიასი მიერ შექმნილი დრამატული თეატრის შენობის არქიტექტურული პროექტის თანავტორია (1946-53 წლები). ამ სახს უნდა დავეუბნოთ „საქნახშირის“ ადმინისტრაციული სახლი თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე.

ჩვენ არ შევუდგებით საითაოდ ამ შენობათა არქიტექტურის დაწვრილებით აღწერას. შევეცდებით მხოლოდ გამოვყოთ და დავაჯგუფოთ მათი წამყვანი, ნიშანდობლივი მხარეები.

არქიტექტორი უპირველესად ცდილობს ნაგებობას მოუნახოს ქალაქშემოხეობითი მნიშვნელობა, წამყვანი ადგილი, თუ მთლიანად ქალაქში არა, მიმდებარე განაშენიანებაში. მაშინაც კი, როდესაც ამ მხრივ მისი არჩევანი შესულუდელია (მაგალითად, ჭიათურის თეატრი მანამდე არსებული კლუმბის რეკონსტრუქციას) — ფსადის მხატვრული გადაწყვეტის ხერხებით ცდილობს ნაგებობას მიანიჭოს ქალაქშემოხეობითი ქვდობა. მახარაბის თეატრი და განსაკუთრებით, ტყიბულის კულტურის სახლი მორგანისხეული, წამყვანი ობიექტებია არსებულ და მომავალ განაშენიანებაში.

მხატვრული შემოქმედების გასაძლიერებლად იგი ადგილობრივ ბუნებაზე პირობებსაც იმარჯვებს. გაიხსენებ, როგორ გამოკვეთილად იხატება ციყაბო მთის ფონზე ჭია-

თურის თეატრის ერთობლიანი პორტიკი. ტყიბულის კულტურის სახლის თეთრი ფასადი როგორ „კეტავს“ მდინარის ხეობას და სამი თლის ლაქით, თითქოს ამზადებს ცხოველბატული განაშენიანების გადასვლას ქალაქის ბუნებრივ ფონზე — მთის დიდებულ კედელზე.

ამ ნაგებობებს მასშტაბურობა ახასიათებთ, რაც მიღწეულია არა აბსოლუტური გაზარბტებით, არამედ სიგრძესთან, განაშენიანებასთან ნაგებობის მთლიანი მოცულობის და მისი დანაწევრების სწორი შეფარდების მიზნებით. აქ მნიშვნელობა არა აქვს ერთი, ორი თუ სამი თალია პორტალზე. მნიშვნელოვანია ის, თუ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ ეფარდება იგი მთლიანს.

გავისწორთ სულ სხვა კომპოზიციური ხერხებით გადაწყვეტილი ნაგებობა — „საქანაშირის“ სახლი. ამ რთული და წინააღმდეგობებით სავსე ნაგებობის არქიტექტურა თბილისურ ნიადაგზე ნაცნობი კომპოზიციური ხერხის ერთგვარი რემინისცენციის ცდად უნდა ჩავთვალოთ. მაგრამ იგი ნაგებობასთან და ქალაქის საერთო განაშენიანებასთან კომისის მასშტაბური შეფარდების კარგი მაგალითია.

განსახილველი ნაგებობების ფასადებს კომპოზიციური სივსადე, ლაკონურობაც ახასიათებთ. ერთი თემით არის ნათქვამი მთავარი. მას ემორჩილებას დეკორი, სინთუსი. ამიტომ ხშირად დეტალებში მხატვრული აღრევაც კი არ შეიშინვება, რადგან მას მთავარი, წამყვანი თემა ფარავს. ამ დებულებას ერთი შეხედვით პარადოქსული მავალითიც ამტკიცებს. დასახელებული ჯგუფიდან ზოგაერთი ნაგებობის მშენებლობა დაბთვარად სკვე 50-იანი წლების მიწუ-

რულში, ე. ი. არქიტექტურის დარგში მხატვრულ-გარდაქმნების შემდეგ. ამდენად, ვასაკებია, რომ ავტორმა ერთგვარი კორექტივი შეიტანა პროექტებში — მოხსნა „ზედმეტობა“, ორნამენტული სამკაულები. სწორედ აქ გამოჩნდა მისი მშენებების ფასადების სწორი, ჯანსაღი არსი (მხარაბის დრამატული თუქტი). მეორე მავალითია — „საქანაშირის“ სახლი. რუსთაველის პროსპექტებში გამოყენებულია თემათა სუბზე (თადევი, ნინეში, ლტია-ერკერხი, პოლონები, აივნები და სხვ.). რუსთაველის მოედნისაკენ გამოშავალი ფასადისათვის კი მხოლოდ სამი თაღოვანი ვიტრავია ლაკონური წამყვანი თემა. ეს ფასადი კ. ჩხეიძის შემოქმედებაში უფრო დამოუკიდებელი, „მიცეულია“.

კ. ჩხეიძე ნაგებობის მხატვრულ-იდუური ელვრადობის გასაძლიერებლად ადრეულ პერიოდში ხელოვნების სხვა დარგებს იმარჯვებს, კერძოდ მოწმუნტურ ქანდაკებს (ჭიათურის თეატრი; კოქანდაცე ჟ. თოფურბიქ) თუ მხატვრობას (ჭიათურის თეატრი, ტყიბულის კულტურის სახლი; მხატვარი რ. სტურვა). ეს თანამშრომლობა მხატვრობისთან და მოქანდაკებთან წლების მანძილზე გავრცელდა და ბევრისათვის ახლაც მისამაძი მავალითია. თუ ზოგჯერ ამ პანიფიკი გადატვირთულობა და პომპეზურობა შეიმჩნევა — ეს დროის ბრალია და ტაქილისტურად დასვეებით ემაულება არქიტექტურას.

ასევე დამასხაათებელია ფორმის გადმოცემის, დეტალის ხავეის ოსტატობა — თალი იქნება ეს, თუ ორნამენტის. შესანიშნავად ხატვას თაღს, თითქოს ერთი ხელების მოსმით. მართლაც, თადევის ორდერი ყველგან სხვადასხვაა, თაღის ხაზი კი ყველგან ერთნაირად ნატიფადაა დახატული.

კ. ჩხეიძეს არ უღალატია საქართველოში ქვის არქიტექტურის ტრადიციებისათვის. ბაზალტს, ევლარის კირქვას, ბოლნისის „ტუფს“ — იგი გინიფრულად და სიყვარულით იყენებს.

კ. ჩხეიძის ნაგებობებში გვხვდება ძიებასთან დაკავშირებული შემოქმედებითი ხასიათის შეცდომები. ეს გარდაუვალიც კია მიზეზის დროს და მით უმეტეს იმ პერიოდში, როდესაც არსებობდა მკაცრი შემოქმედებითი კრედი. საბჭოთა არქიტექტურაში დღესაც გვხვდება შემოქმედებითი ხასიათის შეცდომები, არის „ზედმეტობის“ მავალითეზიცი. ეს ძიების, შემოქმედებითი პროცესის განუყოფელი ნაწილია.


როდესაც არქიტექტორისაგან მოითხოვენ ნაგებობა დაასვავსოს ძველს, თითქმის შეუძლებელია სტილიზაციის ცდუნებისგან თავის დაღწევა, განსაკუთრებით კომპოზიციურ აგებაში და მორთულობის ხასიათში. ასეთ შემთხვევაში შეიშინვება დეტალების სიუბზე, ხშირად ძველ-რობიდან, კედლის მხატვრობიდან თუ ქვანე კვეთიდან გადმოღებული (იმ შემთხვევაშიც კი, თუ ნახატი ახლემურად არის დახატული) ორნამენტის სხვა მასალაში სრულდება. ამით მას ეკარგება პირვანდელი სახე და მხატვრული შემოქმედება. მავალითე, ჭიათურის თეატრის დარბაზში, თავისთავად საინტერესო ჩანაფიქრი — ძველი ქართული მინიატურიდან გადმოღებული და უზომოდ გადადილებული კომპოზიციცა — ერთგვარად ულოგიკობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ფასადის გამდიდრებით გატაცება, „ზედმეტობა“, 30-40-იან წლებში შეიმჩნეოდა მთელ საბჭოთა არქიტექტურაში, რამაც მიყვყვანა მშენებლობის, განსაკუთრებით მასობრივი საბინაო მშენებლობის უჩვეულო გაძვირებად.

ჭიათურის თეატრი.



თბილისი. მარჩანიშვილის სახელობის  
დრამატული თეატრი (მაკეტი).



50-იანი წლებიდან დაიწყო საბჭოთა არქიტექტურის განვითარების ახალი ეტაპი — მეტი ყურადღება მიექცა ფუნქციურ და საინჟინრო მხარეს, ტიპობრივ პროექტირებას და ინდუსტრიულ ბაზაზე მასობრივ მშენებლობას, ახალი საამშენებლო მასალების გამოყენებას, სადა, მსუბუქ ფორმებს, ნაგებობის მოცულობის, ფსაადებისა და გვემის ლოგიკურ შესატყვისობას. მოხდა თანდათანობითი გარდატეხა ესთეტიკურ თვალთახედვაშიც.

ახალი, მეორე ეტაპი დაიწყო კ. ჩხეიძის შემოქმედებაშიც. გაცვესთი მის ორ საინტერესო პროექტს. ბოლნისიდან 15 კმ-ის დაშორებით, სადაც მდ. მამავერას კაზრეთულა ერთვის, სპილენძის კომბინატის მუშა-მასმასხურებისათვის შენდება ახალი დასახლება — მაღლიწიანი. იგი დაპროექტდა 1962-63 წლებში. კ. ჩხეიძისთან ერთად პროექტზე მუშაობდნენ ბ. ინაშვილი, დ. ოდიშარია, ვ. სიხარულიძე, კ. ხატიაშვილი, გ. ხეჩინაშვილი. პროექტმა უკვე პირველ, საჯარო განხილვაზე მიიქცია ყურადღება და აღიარებაც კპოვა.

შენებლობისათვის შერჩეულია 200 ჰექტარზე მეტი ტერიტორია, მდ. მამავერას სამხრეთ-აღმოსავლეთით, მარჯვენა ნაპირზე. აღმოსავლეთიდან დასახლების მდ. კაზრეთულა ექიმნება. დასახლების გენგვემისათვის მიღებულია თანამედროვე გეგმარებითი პრინციპი — შექმნილია მიკრორაიონები ყოველდღიური სიცალურ-კულტურული და ყოფითი მომსახურების მთლიანი კომპლექსით და დასახლების ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ცენტრით, დასახლების ცენტრალურ ნაწილში. საწვობები, კომუნალური მომსახურების საწარმოები, აფრთვე, კვების შრეველობის ადგილობრივი ხასიათის საწარმოები თავმოყრილი იქნება ცალკე რაიონში ტრინიზის ვაკეში. ყოველ პირველად საყოფაცხოვრებო ერთეულ ქმნის რამდენიმე საცხოვრებელი სახლი (2000 მაცხოვრებელი). ოთხი ასეთი ჯგუფი ქმნის ერთ მიკრორაიონს. სულ დასახლებაში არის ოთხი მიკრორაიონი. მკაფიოდ არის გამოყოფილი ტრანსპორტისა და ფეხით მოსარულეთა მოძრაობა. საცხოვრებელი უბნები თავსდება ურთოდება საცაფფებო ხეივანებისა და გზებით. ტრანსპორტის მოძრაობა კი გატანილია საცხოვრებელი კომპლექსის გარშემო არსებულ ქუჩებში. ჩინების საშუალებით უკავშირდება ტრანსპორტი საცხოვრებელი სახლების ჯგუფებსა და სოციალური და ყოფითი ხასიათის ნა-

გებობებს. სასოფლო-სამეურნეო ტრანსპორტის ტრასა გადის დასახლების ცენტრალურ ქუჩაზე, რომელსაც კვერის დასახლების ცენტრიც ადგილობრივი ხასიათის ყველა ქუჩა იწყება ცენტრალური მაგისტრალიდან და გადის საცხოვრებელი კომპლექსის სასოფლო-სამეურნეო და სპორტული ზონისათვის განკუთვნილია მდ. მამავერას ხეობა. თვით მდინარეზე მოწყობა კაშხალი, რომელიც შექმნის პატარა ტბას. როგორც ვხედავთ, პროექტში ყველაფერი მკაფიოდ დიდებულია და გათვალისწინებულია.

ამ შედარებით პატარა დასახლების პროექტში ქალაქის მომავალი მხატვრული მხარეცაა გააზრებული. პირველადი საცხოვრებელი ჯგუფები, ტიპური პროექტებით არის მოშენებული, მაგრამ რელიეფის და ორიენტაციის მრავალფეროვნება პროექტის ავტორს სხვადასხვა კომპოზიციური ხერხების გამოყენების საშუალებას აძლევს. მათ ფონზე გამოიყოფა მწკნამი ჩაფლული, თავისუფლად განლაგებული სკოლებისა და ბავშვთა დაწესებულებების ნაგებობები. დასახლების სილუეტს, გარდა რელიეფისა, გააძლიერებს ნაგებობათა სხვადასხვა სართულიანობა (5 და 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლები). ხარისხიანი განხორციელების შემთხვევაში დასახლება იქნება კომპაქტური და მიმოზიდული.

მეორე პროექტი არის დრამატული თეატრის შენობა თბილისში. ამ პროექტით (დ. ოდიშარია-სთან ერთად) თეატრი უნდა აიგოს პლენსონის პროსპექტზე, ამჟამინდელ პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორიაზე. ნაგებობა დაშორებულია პროსპექტის წიფელ ხაზს. წინ იქნება პარადული მისაღველი მოედანი. მისი გარე არქიტექტურა გადაწყვეტილია მთლიანი მოცულობის ცხოველურ პლასტიკურ დაშორებით — იგი წარმოადგენს ოთხ, ზეითი თანდათან შეშეიერებულ, სხვადასხვა სიმაღლის მოცულობათა პირამიდას. გვერდში მოცულობები პოლიგონურია — თითოეული მათგანი არა ტოლფერდა, სხვადასხვა კონფიგურაციის ექსკლავითაა. პროსპექტის პერპენდიკულარულ ღერძზე მოთავსდება მთავარი შესასვლელი — ოთხკუთხა, დრმა, რელიეფით შემოკლებული პორტალი. ისევე ნაცნობი ხერხები — მთელი კომპოზიციისათვის წამყვანი, მთავარი განსაზღვრელი ერთი დიდი მეტყველი ლაქა, იდგური მხარის განსაზღვრულად ისევე ხელოვნებათა სინთეზის (მოქანდაკე ვ. თო-



ფურიძე) მოშვილებული. კვადრატული ფანჯრების პო-  
რიზონტალური მჭკრივები დანარჩენ ფსადებზე ნაკლები-  
ბის „მასშტაბური სახანავია“. ისინი ხაზს უსვამენ წამყვან  
თემას — პორტალს, თითქმის კიდევ უფრო „აადიდებენ“  
მას.

მთავარი კი ის არის, რომ მოცულობითი კომპოზიციის  
„სკალპატურლობა“ და დინამიურობა ნაგებობების ფუნ-  
ქციონირების დიფერენციაციდან, გვემის დანაწევრებიდან გა-  
მომდინარეობს. აქ სამი გჯუგია — მაყურებელთა ორი  
დარბაზი (1000 და 300 მაყურებლისთვის), სცენის მომ-  
სახურებისა და სასცენო კოლოფი. მაყურებელთა მომსახუ-  
რება ხდება პირველ სართულზე (სალარობისა და შესა-  
სვლოლის ვესტიბული, გარდერობი, ბუფეტი, სანკანძები) და მეორე  
სართულზე ამფითეატრის ზემო რიგების დონე-  
ზე (ფოიე კულარბები). მიღწეულია მაყურებელთა შე-  
სვლის და ევგაკუიის მავფიო სქემა. დიდი დარბაზი პო-  
ლიგონური ამფითეატრია. მცირე დარბაზი ასევე ამფი-  
თეატრულიად არის გადაწყვეტილი. აქ საქმე გვექვს მტვად  
საინტერესო ჩანაფიქრთან, ნაკებობის პლასტიკურ-მოცუ-  
ლობითი და გვემარბებით გადაწყვეტის ერთიანობის მიღ-  
წევის ცდასთან.

ასლა, როდესაც ამ ნაკებობის დაპროექტებიდან  
(1966 წ.)<sup>1</sup> გავიდა წლები და ენებში არქიტექტურულ  
ლიტერატურას, შეიძლება თამამად ითქვას, იაროსლავლის  
მოზარდ მაყურებელთა,<sup>2</sup> მოსკოვის საოლქო დრამატული,<sup>3</sup>  
ორჯანიკიძის დრამატული<sup>4</sup> თეატრების მოცულობითი და,  
განსაკუთრებით გვემარბებით გადაწყვეტა ანგარა ატკ-  
რების თიბლისის დრამატული თეატრის გავლენის ნიშნებს.  
ხილო პრემიის (სლოვაკია) თეატრის გვემა (პოლიგო-  
ნურობა, სქემა) და პირამიდული მოცულობა ანგარა ასო-  
ციაციის იწვევს ჩვენი თეატრის არქიტექტურასთან.<sup>5</sup> რაც  
თიბლისში დაპროექტებული ნაკებობის კეთილ რეზონანსს  
მოწმობს.

კ. ჩხეიძე ამჟამად თიბლისის ზონალური ინსტიტუტის  
სახელოსნოს ხელმძღვანელობს, ზრდის მრავალ სახალაზურ-  
და არქიტექტურას. ბევრი მთავანი ამჟამად დამოუკიდებ-  
ბელ მუშაობას ეწევა და მალღიერების გრნობით იგო-  
ნებს მასწავლებელს. მისი ხელმძღვანელობით სახელოს-  
ნოში უკანასკნელ წლებში შეიქმნა რამდენიმე საინტერესო  
ნაკებობის პროექტი, რომლებიც შენდება არა მარტო  
რესპუბლიკაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

კ. ჩხეიძე თბილისის სამხატვრო აკადემიაში ინტერიერ-  
რის სპეციალობის კადრების მომზადების ერთ-ერთი პიო-  
ნერია. ასევე, როგორც აკადემიის დოცენტი, ახალგაზრდა  
კადრების მომზადების კეთილშობილურ საქმეს ემსახუ-  
რება.

ასალი დრამის წარმოშობა დაკავშირებულია დასავლეთ  
ევროპის დრამატურგიის ხანგრძლივ კრიზისთან, როგორც  
მედიცინა XIX, XX საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიო თეატ-  
რალურ ხელოვნებაში მიმდინარე საერთო თეატრალური  
პროცესებისა.

ერთი მხედვით დავით კლდიაშვილი XIX საუკუნის  
ქართული დრამატურგიის ტრადიციების პირდაპირი გამ-  
გრძობელებელია. ქართველი თავადაზნაურობის ბრწინისა და  
გადაგვარების პროცესი დიწყო გასული საუკუნის 40-ნი  
წლებში, ბურჟუაზიული ურთიერთობის სწრაფ განვითა-  
რებასთან ერთად. არისტოკრატის სულიერ გაატატკებასა  
და სოციალურ დაცემულობაზე მამის უკვე წერდებენ გ.  
ერისთავი, გ. წერეთელი, ა. ცაგარელი, ზ. ანთონიძე და  
სხვები. იმავე თემამ კი დ. კლდიაშვილის მასივლი კალ-  
მის წყალობით ახალი კონტრასტი, ასალი მხატვრული  
ფორმები და შინაარსი შეიძინა.

დ. კლდიაშვილის ნაწარმოებები წინამორბედა ბიეს-  
ბისაგან ძირითადი გახსნავადგება პერსონაჟთა შინაგან  
სამყაროზე ყურადღების გამახვილებით, რაც ესოდენ და-  
მასასათყველი იყო ახალი დრამისათვის. მხატვრული  
კლდევის ამჟებტის ამ განსხვავებულობამ გამოიწვია ბიე-  
სის სტრუქტურის შეცვლა. ნაწილობრივ შეიცვალა აგრეთ-  
ვე და გართულად დრამის კანონზირი ბუბეპაც, რასაც  
დღემდე კამათობენ დ. კლდიაშვილის შემოქმედების  
ბეკლევანი. ერთი თვლიან, რომ კლდიაშვილთან ტარ-  
ბობს სატირა და საზოგადოების მანკიერი მხარეების და-  
უნდობლივი მიზილების თვისება. მეორენი თვლიან, რომ  
მწერალი მიმართავს მხოლოდ და მხოლოდ მსუბუქ, გიო-  
ტესტულ, უპირთიერ ოუმბოს. ორივე ეს კონცეფცია თარ-  
ბობს დასაყრდენს პოლემის თვით დ. კლდიაშვილის დრამატურ-  
გიაში. თუგვალა იგი ცალმხრივი და მუდარია, ყურდბო-  
ბა წმინდა ანრულ ნიშნებს, რომლებიც უარყო ახალმა  
დრამამ. კლდიაშვილის შემოქმედების გამახვილებულ  
ფსიქოლოგიაში გამოვლინდა ფსიქოლოგიურ ტრაგიკომე-  
დიასა და ყუითი ფსიქოლოგიურ დრამაში. მწერლის ამ  
ფორმის ნაწარმოებებში სატირად გვეგდება და იუმორიც,  
ისინი ამღიერებენ და ერწყმან ერთმანეთს, ამასთან  
ძალზე ორიგინალურად, თავისებურად გამოიყურებიან.

ბიესბეს „ირინეს ბედნიერება“ (1897 წ.), „დაროსანის  
გასაჭირო“ (1903 წ.) და „უბედურება“ (1916 წ.) მხო-  
ლოდ ავტორის შემოქმედებით ეტკაბებს ენაშურება. დ.  
კლდიაშვილის დრამატურგიის ჩამოყალიბება ეს არის სა-  
ქართველოში ახალი დრამის ფორმირება და მისი ძირი-  
თად პრინციპების შემდგომი განვითარება.

სამივე ბიესა მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. მით  
წიგნში სათანადო ადგილი აქვს მიჩენილი სპექტაკლის შემქმნელთა ღვაწლის ასახვას. ავტორი უწყურადღებოდ არ ტოვებს დადგმის თვით ყველაზე უმნიშვნელო მონაწილესაც კი, ცდილობს აჩვენოს მოხერხებარ ღვაწლის აღნიშვნის გარეშე. მკითხველი ეცნობა ნაძალადევის მუშათა თეატრის პირველი რეჟისორის სვიმონ სვიმონიძის (გოგოლაძის), თეატრის შექმნისა და ჩამოყალიბების ინიციატორების: პეტრე ხავთასის, სვიმონ ყუბანეშვილის, იოსებ დარჩავიძის, ვასილ ღარიბაშვილის, გიორგი ჯაბაურის და სხვათა მიერ შეტანილ წვლილს ამ ეროვნულ საქმეში. აქვე აღნიშნულია, რომ თეატრს დიდ დახმარებას უწყებდნენ მწერლები: ავსტრიალი ცაგარელი, ტრფიმი რამიშვილი, თედო სახოკია, ილია ალაღაძე, ნინო ნაკაშიძე, შალვა დადიანი, ანტონ ფურცელაძე, პოლიო ირიფიანი და სხ-ანი.

წიგნი გვაცნობს ნაძალადევის მუშათა თეატრში სხვადასხვა დროს მომუშაურ რეჟისორებს: გიორგი არაღელ-მშენელს, დავით ჩარკვიანს, შაქერ ბერიშვილს, პავლე ფრანკ-შვილს, ვიქტორ ნინიძეს, სოსო მეგრულიშვილს, ნიკოლოზ გომიძეშვილს, გიორგი ჯაგაშვილს, გრიგოლ კოსტავას, გრიგოლ სულიაშვილს, არჩილ მამაბლაძეს, ვალერიან ვაშაძეს, ვანო გულაშვილს, მისეილ ლელაშვილს, შოთა კიკაძეს, გამოყოფს მათს მნიშვნელოვან დადგმებს.

ნაძალადევის დრამატული დასის შემოქმედებით ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა რუსთაველის თეატრის შეფუბა. ამ პერიოდის დადგმებიდან ავტორი აღნიშნავს შოთა აღსაბაძის რეჟისორობით განხორციელებულ კარიზმის „ლოინდაგი გუგუნიებს“ და აკ. ვასაძის მიერ დადგმულ ს. შანშიაშვილის კომედია „პროვინციის წიგნი“. წიგნი წიგნების მუშაობის თავაყურს აღივნიება გამოჩენილი რეჟისორი სანდრო ახმეტელა.

დრამატული დასის ინტენსიური მუშაობის პარალელურად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში (1923-1924 წ. წ.) ნაძალადევი ჩამოყალიბდა აგრეთვე სახალხო საბჭოური თეატრი, რომელშიც მონაწილეობდნენ არა მარტო პროფესიონალი მსახიობები, არამედ რკინიგზოელი მუშები. ავტორი აღნიშნავს აქ განხორციელებულ ვერდის ოპერა „რიგელტოს“.

წიგნში სათანადოა შეფასებული მუშათა თეატრის მრავალრიცხოვან მსახიობთა მიერ განწეული საინტერესო გზა. აქ ვცნობით ძველ აქტი-



ორებს: ი. ნასარიძეს, ბ. ფაციაშვილს, ლ. მისიურაძეს, ქ. გამყამიძეს, ბ. თამაზაშვილს, ი. სუნიშვილს, ქ. და ს. ხავთასებს, გ. ჯაბაურს, ვ. და ს. გოგაშვილებს, ალ. ხახუტაშვილს, შ. ნასყიდაშვილს, ლ. ფირცელაურს, ლ. ბაღაშვილს, ელ. ჩიქოვანს, ა. ძამაძის, გ. კულუხაშვილს, პ. ნავროსაშვილს, ს. ციციშვილს, გ. გამყარელებს და სხვ.

თ. გომართელი საგანგებოდ აღნიშნავს საქართველოს სახალხო არტიზანის ნიკო თვლიძის ღვაწლს, თლის მას ნაძალადევი მუშათა თეატრის შექმნის ერთ-ერთ მონაწილეს. ნიკო თვლიძის მუშაობა სახალხო თეატრში არ იყო მხოლოდ მისი აქტიურული მოღვაწეობის ნაყოფი, არ თეატრში მოღვაწეობა შთაგონებული იყო აგრეთვე უნაგრო მოქალაქეობრივი შეფენებით, მორთმული მასების სამსახურიო: — კვითხულთბ წიგნში და ეს შეფასება სასეუბთ მიხედურობა.

ავტორი მკითხველს დაწვრილებით მოუთხოვს მაკა ქართველიშვილის, ივანე ბობოხიძის, ტალიძმურ გვიშაიანის, ალექსანდრე უკრაძის, მაყალა ობოლაძის, დავით ჯანჯალაშვილის და სხვათა მიერ ამ თეატრის სცენაზე შექმნილი მნიშვნელოვანი ნივთების შესახებ.

ნაძალადევის მუშათა თეატრის ისტორიას ამწვევებს ქართული თეატრის კოორდინების: ე. ჩერქეზიშვილის, ს. ანკრა-ყიფშიძის, კ. ყიფიაშვილის, ლ. მესხიშვილის, გ. აბაშიძის, შ. საფაროვა-აბაშიძის, ნ. გაბუნას, ა. იმედაშვილის, ნ. ჩხვიძის და სხვათა მონაწილეობა; საბჭოთა პერიოდში კი დიდი წვლილი შეიტანეს ქართული სცენის გამოჩენილმა ისტატებმა: აკაკი ხორავამ, ვასო გომიაშვილმა, აკაკი კვანტალიანმა, შაქრო



და ალექსანდრე გომელაურებმა, სანდრო ჟორჯიანიმა, ცეცილია წუწუნავამ, სესილია თაყაიშვილმა, თამარ ციციშვილმა, მედა ჯაფარიძემ, ნუნუ მაკავარიანმა და სხვ.

წიწმინ ცალკე თავდა გამყოფილი ნაძალადევის რუსული მუშათა თეატრი, რომელიც გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულში დაარსდა თვითმოქმედების დაუცხრომელი ეთნოზასტის გიორგი რიასანცვის ხელმძღვანელობით. რუსული თეატრის პირველი წარმოდგენა გაიმართა 1898 წლის 24 თებერვალს. „ამრიგად, — ვკითხულობთ წიწმინ — საფუძველი ჩაეყარა კეთილშობილურ საქმეს. ამიერიდან, ნაძალადევი მხვორებზე რუს მუშებსაც ეძლეოდათ საშუალება, მოზობილურ ენაზე ენახათ სპექტაკლები“.

რუსული დრამატული დასის მიერ განხორციელებული სპექტაკლებიდან ავტორი გამოყოფს ნ. გოგოლის „მეგად სულემს“ (სადც ჩიჩიკოვის როლის შესანიშნავი შესრულებით გამოირჩედა გ. რიასანცვი), ა. ასტაროვის „შემოსავლიან ადგილს“, „უშობითოს“ და „ტყუპს“. ამ სპექტაკლების დადგმა ვეუთვლდა გიორგი რიასანცვის, რომლის შესახებ თ. გომართელი წერს: „ნაძალადევის რუსული დრამატულმა კოლექტივმა, სთავაზო რიასანცვის ხელმძღვანელობით, წლების მანძილზე მაყურებელს უჩვენა იდურად და მსატყურად გამართული სპექტაკლები“.

გ. რიასანცვის შემდეგ დრამურებს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ რეჟისორები: ი. ზვადა (მოსკოველი მსახიობი), ევდოკიმოვი, კონსტანტინოვი, ჩაროვი, ლეონტიევი, დრაო, რომლებმაც არა ერთი საუკუნადღებო დადგმა შემატეს რუსულ დრამატულ წრეს. მათ რიცხვს ავტორი აკუთვნებს სპექტაკლებს: ა. ასტაროვის „უდაანაშაული დახმარების“, მ. ლეონტიევის „მასკარადი“, გოგოლის „რევიზორი“, ვიინიის „კრახანა“, შოლოხოვის „ტარტუფი“, გოლდონის „ფორჯია ქალები“, ლაერენციის „რლევი“, შექსპირის „აურზაური არაფრის გამო“. კორნეიჩუვის „პლატონ კრეჩტიკი“ და სხვ.

მონაწილე მსახიობთაგან განსაკუთრებით აღინშნულია ვლ. ვანკოშინი. ი. ბობოხიძის, იაშინის (იანა კვანახის), გ. დუნდუას და ლ. ჯაფარიშვილის ნაყოფიერი მოღვაწეობა რუსულ სცენაზე.

წიწმინ მიმობილუთა აგრეთვე ნაძალადევის ოსური მუშათა თეატრის მიერ განვლილი გზა, რომელიც თავის

ვისი არსებობის ისტორიას 1906 წლიდან ითვლის. ავტორი წარმოგიდგენს ოსური დრამურის დამარსებულს მაქსიმე რამონოს, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით 1906 წლის 27 მაისს სასტუდო „ვეტელ-ში“ (სადც ამჟამად ქართული თეატრის თეატრი) ოსურმა დასმა პირველი სპექტაკლი გამართა. „ამ საღამოს, — ვკითხულობთ წიწმინ, — დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა „ვეტელში“ სცენაზე გამართული ოსური საღამო გზას უხსნიდა ერთ-ერთ პიროვნულ თეატრს. „წიწმინ აღნიშნულია როგორც თვით მაქსიმე რამონოვს, ასევე მთელი მისი ოჯახის დიდი დამსახურება ოსური სახალხო თეატრის შემდგომ განვითარებაში“.

ქართველ ავტორთა პიესებს ოსურ სცენაზე დიდი წარმატებით ახორციელებდა ნიკო გოცირიძე. მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან წიწმინ გამოყოფილად: ა. აწურელის „ორი მშობი“, ალ. ყაზბეგის „არსენა“, პ. ირეთელის მიერ გასცენიერებული ე. ნინოშვილის „ქრისტიანი“.

წიწმინ სათანადოდა შეფასებული ზეკარია გაზავეის, ნინო ჯივოვას, ანიკო ავლისაშვილის, გრიგოლ გაბისაძის, საჩხაურელის სახალხო არტიკტ ნინო ჩიბუგას, რუბენ ჩეთიშვილის და სხვათა მოღვაწეობა ოსური თეატრის სცენაზე. აქ იდგმებოდა როგორც ოსური, ასევე ქართული, რუსული და საზღვარგარეთული დრამატურგიის ნიმუშები. ოსური დრამურის შექმნას დიდი აღმზრდელითი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, რასაც იგი დღესაც ინარჩუნებს.

წიწმინ ბოლო თავი ვრცელად მოგვითხრობს ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის ელექტროფაგონმემკეთებელ ქარხანასთან არსებული კულტურის სახლის მხატვრული თვითმმართველობის მრავალფეროვან მუშაობაზე. ავტორი ჯეროვნად აყვასებს კულტურის დამსახურებულ მუშაკის, სანაამუშო სექტორის გამგის ვალენტინა სახაიას ნაყოფიერ მოღვაწეობას; მეთხველს აცნობს ქართულ ხალხურ საკრავთა ანსამბლის ხელმძღვანელებს, ლტბარ მერი ვფფხვაძის წარმატებებს, მომღვრელობა გუნდის, ნორჩ ნატურალისტთა, კინოემქანიაკოპობის შემსწავლელ წრისა და სხვათა საინტერესო მუშაობას. ავეე გაშუქებულია ილია გიბიაშვილის მიერ 1917 წელს ნაძალადევის თეატრთან ჩამოყალიბებული მოძღვრული გუნდის მუშაობის საინტერესო ეპიზოდები, პლენანოვის ნახტომის კულტურის სახლთან არსებული სიმე-

ბიან საკრავთა ანსამბლის; სასტუდო ანსამბლ „მზიურის“ (ხელმძღვანელი ზურაბ ჩიქოვანი) და გიტარაზე დამკვირვლთა და კინოშეყარულთა წრეების საინტერესო მუშაობის შესახებ. ავტორი კინოშეყარულთა გამარჯვებულ მიჩინვებს დიდი ოქტობრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სანაშაღილიან ფილმს „ქალაქის ცეცსლოფინი გული“, რომელმაც საკავშირე ფესტივალზე შეაბამ ხარისხის დიპლომი და მედალი დაიმსახურა.

წიწმინ გვიცნობთ პირველ ქართველ პიროვნულად მოცეკვავეს ალექსი ალექსიძეს, რომელმაც ფსადლაუბელი ამაგი სახლს არა მხოლოდ ნაძალადევის ქორეოგრაფიულ წრეს, არამედ, საერთოდ, ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას. ა. ალექსიძის შემდეგ ცეკვების წრეს სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ — ჯანო მაკარაიონი, გვიგოლა ჩივაძე, მიხეილ ბახტაძე, ვაკა აბაშიძე, თთარ არჯვანიძე. წიწმინ მოგვითხრობს რუსული ხალხური ცეკვების წრეზე „ლილი“, რომელიც საძალადე სტუდიადა გადაკეთდა და დღესაც ნაყოფიერად იღვწის.

თ. გომართელის სატყვენიო წიწმინ ყურადღებას იქცევს ერთად თავმოყრილი მეტად საინტერესო მასალები წარმოდგენით, მუშათა თეატრის დიდი და სახელთავი ტრადიციების თვალსაჩინოებით.


განა ამ ნაშრომის აღიარებულზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ავტორს გულთბილი შეხვედრა მოუწევს ი. ბ. სტალინის სახელობის კულტურის სახლის შემოქმედებითმა კოლექტივმა, მუშებმა და მოსამსახურებებმა? ან ის კოლდები, რომელიც თამარ გომართელმა ამ წიწმინ დაეკავშირებით დაიმსახურა: ამიერკავკასიის საზოგადოებრივი კომიტეტის I ხარისხის დიპლომი: „მის მიერ გამოქრინილი ინიციატივა სათვის, ისტორიული მასალების შეგროვებისა და წიწმინ „ნაძალადევის მუშათა თეატრის“ საუკეთესო მომხმარებლისა და ხალხური შემოქმედების სახლის მიერ გადაცემული სივლეის „სახალხო თეატრების საუკეთესო პოპულარიზაციისათვის“.

თამარ გომართელი ნაყოფიერად ემსახურება სახალხო თეატრების პოპულარიზაციის საქმეს. მისი ენერჯია და საქმისადმი სიყვარული თავიდან იმისა, რომ ქართული სახალხო თეატრების ბევრი მივიწყებული ფურცელი მომავალში ღირსეულ გამოშვებებსა პიკებს.

მოზარდ მაჰურბეგლასა ქართული თეატრის ახალგაზრდა რეჟისორმა ნანა კვასხვაძემ ჯერ კიდევ თავისი სადებიუტო სპექტაკლით (გ. მამლინის პიესა „შენ ეი, გამარჯობა!“) მიიპყრო ყურადღება, როგორც ორიგინალური აზროვნების, ნიჭიერმა შემოქმედმა.

1967 წელს ნანა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პირველი ექსპერიმენტული ჯგუფის (სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტი მიხეილ თუმანიშვილის ხელმძღვანელობით) მსმენელი გახდა. გოგონა გულდასმით ეკიდებოდა ყოველ სავანს, პრაქტიკულსაც და თეორიულსაც. პირველ სემესტრში მან მოაშადა ნატალიასა და ვეროიკას დიპლოგი ტურგენევის პიესიდან „ერთი თვე სოფლად“. როლებს ასრულებდნენ ქეთინო დოლიძე და ნანა ჩიქვინიძე. დამწყები რეჟისორი ღრმად ჩასწვდა ამ ერთ-ერთი რთული დიპლოგის დედაზრს, სადაც უნდა გაირკვეს ბოლშინცევის ურთიერთობა ნატალიასთან. ნანამ სწორად წარმართა სტუდენტ-მსახიობების სცენური მოქმედება. მეორე სემესტრში როზოვის „ვახშობის წინ“ აირჩია. მან რამდენიმე სცენა დაამონტაჟა, რითაც გამოვლინდა სტუდენტ-რეჟისორის შესაბამისი ცოდნა. მესამე კურსზე ნ. კვასხვაძემ გააცხენიურა სულხან-საბა-ორბელიანის ცნობილი იგავი „ქოსა და ყაიღი“. მეოთხე კურსზე მან ფრანგი მწერლის პროსპერ მერიმეს „შემთხვევითობა“ აირჩია. ასე მოვიდა იგი თანამედროვე პიესის განხორციელებამდე.

გ. მამლინის პიესა „შენ ეი, გამარჯობა!“ უცხო არ ყოფილა თბილისელი მყურებლისათვის. იგი „ორნის“ სახელწოდებით იღებოდა რუსულ სცენაზე. სხეებული ნაწარმოები ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ უმწვენიერეს მხარეზე — პირველი სიყვარულის დაბადებაზე მოგვითხრობს. პიესაში ორი პერსონაჟია — მამა და



სცენა სპექტაკლიდან „შენ ეი, გამარჯობა“. ვალერკა — ა. შან-შაიველი, მამა — ვ. მახათაძე.

## სასიხარულო ღებოთი

ნაზი ელიაშვილი

ვალერკა. გოგონა სტუმრად ჩამოსულა ბებეასთან პატარა საკურორტო ქალაქში. ბებეას თავის კარ-მიღამოზე ყვეალებით და ხილი მოჰყავს. მამა ეხმარება მოხუც ბებეას და მოსავალი ბაზარზე გასაყიდად დააქვს. მამას მასობლად ცხოვრობს ვალერკა, რომლის სახლშიც უპირავე სტუმარი მიდი-მიდის. აი, სწორედ ამ

ორი მოზარდის შეხვედრასა და მათს ურთიერთობაზეა აგებული პიესა.

როგორც ზემოთ ვთქვით, სპექტაკლი „შენ ეი, გამარჯობა!“ ნ. კვასხვაძის სადიპლომო ნამუშევარია. რეჟისორ-დიპლომანტმა თავისებურად დახვეწა გ. მამლინის ტექსტალური მასალა, გააკეთა სათანადო კუპირები, მოხერხებულად შეადგინა რეჟი-



სცენა სპექტაკლიდან „შენ ეი, გამარჯობა“.

სორული ექსპლიკაცია და ისე ააგო მთელი წარმოდგენის მიზანსცენები, რომ სპექტაკლში ერთი წუთითაც კი არ ნელდება სცენური დინამიურობა. როგორც ვთქვით, პიესაში ორი მოქმედი პირია და ასეთ შემთხვევაში ძალიან ძნელია ხოლმე მაყურებელმა (ისიც მოზარდმა) ისე აღიქვას წარმოდგენა, რომ დალა არ იგრძნოს. ნანა კვასცხაძის, როგორც რეჟისორის დამსახურება სწორედ ამაში გამოჩნდა. მაყურებელს თითქმის ამოსუნთქვის საშუალებას, პატარა შესვენების უფლებასაც კი არ აძლევს. შუშუნასავით შეუჩერებელი მოედინება სიტუაციითა ნაკადი, მიზანსცენები და მაყურებლის წინაშე საინტერესოდ ვარბიან მთელი კვირები.

ერთადერთ შაბლონად სპექტაკლში მამასა და ვალერკას ის სცენა აღიქმევა, როდესაც ისინი წაიკნელებიან და ჭიდაობაზე გადადიან.

აქ უეტრად ერთმანეთს ხვდება მათი თვალები. ქალ-ვაჟისათვის უკვე აშკარაა, რომ სადაც გაქრა ბავშვობა, რომლის ნაცვლად მოდის ახალი, მათთვის დღემდე უცნობი, მაგრამ ძალზე შესაძლო გრძნობა. აი, სწორედ ეს მიზანსცენა თავის ასოციაციებით გვახსენებს უკვე კარგა ხნის წინათ სხვა რეჟისორების მიერ განხორციელებულ მიზანსცენას (თუნდაც რეზო ჩხეიძის ფილიმიან „ჩვენი ეზო“). შესაძლოა, რეჟისორ-დიპლომანტი ქვეშეუცხოვლად მივიდა ამ მიზანსცენამდე, შესაძლოა ისიც, რომ მოზარდი მაყურებლისთვისაც იგი არ წარმოადგენდეს მინცდამინც რაღაც ნაცნობს, „შინაურ“ მიზანსცენას, მაგრამ ასეა თუ ისე, უკეთესი იქნებოდა, თუკი ნანა კვასცხაძე ამ სცენას სხვაგვარად გადაჭრებდა.

მხატვარი გ. ალექსი-მესხიშვილიც ახალგაზრდა შემოქმედია. სწორედ

ამან განაპირობა ის ფაქტორები, რომლებიც მისი მიერ ლოგიკურად სწორად გააზრებულ სპექტაკლს თავისი მხატვრული შინა და იერი დასდო. გ. ალექსი-მესხიშვილმა იგი ორიგინალურ ზეგნის პოულობის სცენების შესაცვლელად, დეკორაციული დანადგარი არ იცვლება, ყოველი ახალი სურათის დაწყებისას სცენის თავზე ეშვება ფერადი ფარი წარწერით „ორშაბათი“, „სამშაბათი“, „ოთხშაბათი“... ეს ზეგნის მიგვანიშნებს იმაზე, რომ წარმოსახულ ეპიზოდებთან ერთად დღეებიც გარბიან, გარბიან ასევე ღამეზად, ასევე ფერადონად, როგორც ეს ფარები. მხატვარი თითქმის იმასაც კი ახერხებს, რომ წარწერათა ფერებში თვალაჩინო ხდება რომელიღეს რა განწყობილებაა არიან წარმოდგენის გმირები; როდის არიან ძალზე მხიარულნი, სერიოზულნი და როდის ცოტა სევდილთ შეპყრობილნი.

მუსიკალური მხარეც კარგად გამოუყენებია რეჟისორს. სპექტაკლს ზოგჯერ მანძილზე გასდევს კომპოზიტორ ნ. მატყევეას სიმღერა „ფეხრება ნაპირს ტალღა“ და მანანა მენაბდის „მელოდია“. სხვათა შორის, სიმღერებს თვით მანანა მენაბდე ასრულებს, რაც წარმოდგენას თავისებურ ლირიკულ ჟღერადობას აძლევს.

თბილისის თეატრალური ინსტიტუტთან ჩამოყალიბებულია მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მომავალ მსახიობთა ჯგუფი შალვა გაწურელიას ხელმძღვანელობით. ისინი თვორიულ მომზადებას ინსტიტუტში გადიან, ხოლო პრაქტიკულ გამოცდილებას თეატრში ეუფლებიან. სწორედ ამ ჯგუფის წარმომადგენელთა რიცხვს განეკუთვნებიან ამ სპექტაკლის მონაწილენი გიული მახათაძე და აკაკი შანშიაშვილი.

გიული მახათაძე ჩვენს წინაშე მამას სახით წარმოსდგა. გ. მახათაძის მამა სიცოცხლეთ აღსაქვე გოგონაა. იგი ისეთ ასაკშია, როდესაც ცხოვრება თანდათან თავის ნამდვილ სახესღებულობის ადამიანის შეგნებაში. მამა სხვათა შორის თუ ჩავილიდა ხოლმე ზღვის ნაპირას, აღმაცე-

რად გახედვად ნავებთან და კატარ-  
ლებთან მოფუსფუსე ვალერკას. შემ-  
დეგ კი თანდათან დაინტერესდა. რა-  
ღაც უცხო, დღემდე შეუმჩნეველმა  
გრძნობამ ძალუმად უბიძგა გოგო-  
ნას და ახლა დღე ისე არ გაივლის,  
რომ ვალერკას საგანგებოდაც არ აუ-  
არჩაუაროს. მერე რა ხერხი არ  
იხმარა, რომ გასცნობოდა, ახლოს მი-  
სულიყო მასთან. ყოველგვარი „ჭა-  
ლური“ ეშმაკობა გამოიყენა და აკი  
საწადელს მიაღწია. გ. მახათაძე ნელ-  
ნელა, ცხოვრებისეულად აყალიბებს  
თავის სცენურ სახეს, ორიოდე კვი-  
რაში თითქოს ახალი ადამიანი დაი-  
ბადა. მას აღარ აინტერესებს ყვაეი-  
ლებისა და ხილის გაყიდვა, სულ არ  
წავა ბაზარში, ოღონდ ვალერკასთან  
ახლოს იყოს. მსახიობმა დიდი გულ-  
წრფელობით ჩაატარა სცენა, როდეს-  
საც თავის სახლში ჩუმად მიგდებუ-  
ლი წიგნის პატრონის ვინაობა და-  
ადგინა. ამ დროს ხვდება მახათაძის  
მამა, რომ ვალერკას იგი მოსწონს,


უფრო მეტიც — შეიძლება უყვარს,  
ამიტომ გოგონა გამარჯვებულის პო-  
ზაში დგება და გამომწვევად ეუბნე-  
ბა ვაჟს: „ვიცი, ვალერკა, ვიცი! ახლა  
კი წადი, წადი!“ ამ ფრაზებში იმ-  
დენი მხატვრული, ცხოვრებისეული  
სიმართლეა, რომ თითქოს მაყურებ-  
ლის წინაშე მსახიობი კი არ დგას,  
არამედ პირველი სიყვარულის გრძნო-  
ბით ალტკინებული გოგონა.

ასევე საინტერესოდ წარმართავს  
თავის სცენურ სახეს აკაკი შანშიაშვი-  
ლი. მისი ვალერკა თავშეკავებული,  
ჩუმი ყმაწვილია. ჭირივით სძაგს  
ზედმეტი ლაპარაკი. თვალის დასანა-  
ხავად ეჯავრება პრანჭია, მატრახაზი  
გოგონები. მამას ხომ სულ ვერ იტანს.  
ეს ხომ ის გოგოა, რომელიც ყვაეი-  
ლების კალათით ხელში ბაზარში და-  
დის და გაიძახის „ვარდები, მიხაკე-  
ბი, ხუთი ცალი ორ მანეთად!“ და  
ა. შ. ანდა რა მისი საქმეა გოგონებ-  
თან მეგობრობა? შანშიაშვილის ვა-  
ლერკა თავს ვაჟკაცობაზე სდებს,

მამლაყინწასაგით უჭირავს. უკიდურეს  
მაგრამ ნელ-ნელა ისიც ფარხმალს  
ყრის და ცდილობს, როგორმე თავი  
მოაწონოს მამას. სურს, თავის გემოვ-  
ნებაზე გაზარდოს იგი. გოგონასგან  
განსხვავებით ვალერკა უფრო გულ-  
ლია, ალალია. ამიტომ მისი სიყვარუ-  
ლიც უცერად აფეთქებული და გულწ-  
რფელია. ა. შანშიაშვილი შეძლე-  
ბისდადავარად ცდილობს მასში „და-  
ბანდებულები“ ყოველგვარი აქტიორუ-  
ლი შესაძლებლობების გამოყენებას,  
რათა მაყურებელთა წინაშე წარმო-  
ადგინოს პატიოსანი, გულკეთილი,  
გ. მახათაძის მაშეწყას შესაფერისი  
პარტნიორი.

დებიუტი შედგა. მღელვარება თი-  
თქოს დაცხრა. არ დამცხრალა შემოქ-  
მედებითი წვა. იგი სიცოცხლეს გა-  
ნაგრძობს და იმედი გაეკავს, რომ მო-  
მავალში უფრო ამაღელვებელი და  
საინტერესო თეატრალური სანახაო-  
ბის მოწმენი გაგზდებით.

დ. გრიგოლია.  
ლერი ჯანაშიას პორტრეტი.







კონცეფცია

# ლენარსკი — მუსიკალური კრიტიკოსი

ირინე ჯორჯაძე

კამერბრძენის კულტურის განვითარების ისტორიაში როგორც ხდება ხოლმე, რომ მივიწყებული სახელი, ნაკლებად შესწავლილი შემოქმედება უცებ საყოველთაო ყურადღებას მიიქცევს, შესწავლის ობიექტად იქცევა და მთელი თავისი ბრწყინვალეობით აღსდგება. ამას თავისი მრეწველი აქვს, რამდენადაც ... ყველ სოზოგადდრობობს მისთვის ადამიანურ კლასიკურად იპოვის ისეთი კლასიკური, რომლებიც მას შეესიკვება; მაგრამ მას შეუძლია არა მხოლოდ ცოცხალ ადამიანებს — კლავიშებს შეეხოს, არამედ მკვდარსაც<sup>1</sup> და მაშინ ... მკვდარი ცოცხლდება, იგი უფრო გვიანდელი ეპოქის თანამედროვედ იქცევა<sup>2</sup>.

ჩვენ თანამედროვედ გვესახება ანატოლ ვასილის ძე ლენარსკი — ვ. ო. ლენინის მეგობარი და თანამებრძოლი, საბჭოთა ქვეყნის განათლების პირველი სახალხო კომისარი, გამოჩენილი ფილოსოფოსი და სოციოლოგი, დრამატურგი და ლიტერატურის კრიტიკოსი, ესთეტიკოსი და მუსიკოსმცოდნე, რაც მთავარად, სოციალისტური კულტურის ორგანიზატორი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდგომ პერიოდში, თანამედროვედ გვესახება მისი კრიტიკული მემკვიდრეობა, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ის საერთო მონან-მიმართება, რამაც განსაზღვრა ლენარსკის ჭეშმარიტი, დამსახურებული ავტორიტეტი.

დადასტურდა ისტორიულ-მეცნიერული პროგრესის კანონზომიერება — ლენარსკი აუცილებლოდ გახდა. ამ ნოვატორივი პიროვნებისადმი ინტენსივი აღინება ჩვენი მეცნიერული აზრის მსვლელობით. თავის დროზე სწორედ ამისკენ ისწრაფოდა ლენარსკი. კანონზომიერი იყო საბჭოთა ესთეტიკის განვითარების გზაც, გზა ცალკეულ დამკვიდრებთან და განახევვთა გადაღობისა, ამალი საზოგადოების შექმნის გენერალური ხაზის დამკვიდრებისა. დაიღაც, კანონზომიერია ჭეშმარიტი აღიარება ლენარსკის,

სკისა, რომელმაც ასევე გამოიარა საკუთარი შეცდომებისა და გადახვევების გზა.

დღეს ლენარსკის მიერ გამოთქმული აზრები, ვარაუდები უდიდეს ლირებულებას იძენს. თვით ლენარსკის პიროვნება და მისი მემკვიდრეობა ფართო რეკლამირებას საჭიროებს. ლენარსკი მრავალგზის გამოიყვა და კვლავაც გამოიყვება, იკვლევენ მის ნაშრომებს, გამოთქმებს, ფილოსოფიურ და მხატვრულ-კრიტიკულ შეხედულებებს, დეტალურად ანალიზებენ და სხვადასხვა თვალთახედვით აშუქებენ. თუ ჯერ კიდევ ათიოდ წლის წინ შეგვეძლო დავგეგმავსახელებია ლენარსკის შემოქმედებით დანიტრენკეზული ორი-სამი ავტორის<sup>3</sup>, ამჟამად მთელი რიგი მკვლევარების თავის მონოგრაფიებს, სტატიებს უძღვნიან მისი საერთო-ესთეტიკური და მუსიკალურ-ესთეტიკური კონცეფციების განხილვას, თავიანთ მსჯელობებში მის შეხედულებებს იმორწმუნებ მუსიკის ირგვლივ.

ეს მოწმობს ლენარსკის იდეებისა და შეხედულებებისადმი სულ უფრო მზარდ ინტერესს, მათ აქტუალობას ჩვენს დღეებში. ახლა, როცა გვიანდლოდება ლენარსკის დაბადების ასი წლისთავის საიუბილეო თარიღი (1975 წლის 23/ XI), ეს ინტერესი განსაკუთრებით იზრდება. გულდასმით კვლევას მოითხოვს ლენარსკის მუსიკალურ-კრიტიკული მემკვიდრეობა. მათი ავტორი გვევლინება მუსიკალური ესთეტიკისა და მუსიკალური სოციოლოგიის ფუძემდებლად ჩვენს ქვეყანაში.

დიდად გაიზარდა ინტერესი ხელოვნების, განსაკუთრებით მუსიკალური ხელოვნების, სოციოლოგიის პრობლემებისადმი. ამასთან დაკავშირებით საჭიროა მივხართთ ლენარსკის მუსიკათმცოდნეობით შემოქმედებას, რამდენადაც იგი ეხება ამ დისციპლინების თითქმის ყველა ძირეულ პრობლემას. თავის მუსიკალურ-კრიტიკულ სტატიებში ლენარსკი თანმიმდევრულად ატარებს მარტისტულ-ლენინურ პრინციპს მუსიკალური ხელოვნების სოციალური ცხოვრებით განპირობების შესახებ.

მუსიკალური პროცესის ანალიზისას იგი ამოცანად ისახავდა აქვსა მუსიკისა და საზოგადოების, მუსიკისა და ადამიანის, მუსიკოსისა და მისი გარემოს რთული ურთიერთკავშირი. მაგრამ როცა ლენარსკი მუსიკის განვითარებას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან უშუალო კავშირში იხილავდა, სამსებით შეგზნებული ქონდა მუსიკის, როგორც სინამდვილის ასახვის განსაკუთრებული ფორმის სპეციფიკა. ითვალისწინებდა მისი ენის თავისებურებას, საზოგადოებრიობაზე მისი გავლენის მხატვრულ-იდეოლოგიურ ძალას. ამასთან მუსიკალური მოვლენების კვლევის სოციოლოგიური მეთოდები მაინც საკმარისად, ამიტომაც იგი ვახიზილავდა მუსიკაზე სხვა ფაქტორების კერძოდ, ბიოლოგიური და ფიზიკურ-აკუსტიკური ფაქტორების გავლენასაც.

ლენარსკის მიერ დამუშავებული პრობლემებიდან ორიგინალურია ორი ფაქტორის — სოციოლოგიურისა და ბიოლოგიურის ზემოქმედება პიროვნებაზე, შემოქმედებით პროცესზე. ამ საკითხზე უფრო დარწმუნებით უნდა შევხედოთ, რამდენადაც იგი ერთ-ერთი ტესტრალურია მუსიკის სოციოლოგიაში. ლენარსკის მიერ შემუშავებული კომპოზიტორის პიროვნების სოციოლოგიური კონცეფცია, ვფიქნება კომპოზიტორისა და საზოგადოების, შემოქმედის პიროვნებასა და მის გარემოს შორის არსებულ თანაფარდობას.

საერთოდ პრობლემა — კომპოზიტორი და საზოგადოება მრავალფეროვანია და ამ ორ კომპონენტს შორის შეიძლება სხვადასხვაგვარი შეფარდება წარმოიქმნას. მას შემდეგ რაც არსებობს მხატვარი, რომელიც ხალხისათვის ქმნის, და საზოგადოება, რომელიც მის შემოქმედებას

ეწეფება, იცვლებოდა ამ პრობლემის დასმის ხერხი. მისი და-  
მუშავების სტილი, რაც დამოკიდებული იყო საზოგადო-  
ების გარკვეულ პოლიტიკურ-ეკონომიურ სტრუქტურაზე  
მაგრამ იმას, რომ შემოქმედების მთლიანად განაირობოს;  
პოლიტიკურ-ეკონომიური წყობა, ხელს უწყობს ან  
წინააღმდეგება მას, დღეს ხელოვნების იმანენტური გან-  
ვითარების მომხრეები კი ამტკიცებენ.

თითოეული შემოქმედი განუყოფლად დააკვირებული  
თავისი ეპოქის ცხოვრებას და გარემოსთან. ამიტომაც,  
მისი შემოქმედება ამ სინაღდლის ასახვა გვევლინება,  
იმ შემთხვევაში კი, როცა ხელოვანი მას უარყოფს. სა-  
ზოგადოებაში კომპოზიტორის სოციალური ადგილი და  
როლი ყოველთვის განსხვავებული იყო, თვით საზოგადო-  
ების პოლიტიკურ-ეკონომიური წყობის მიხედვით.

მუსიკალური ხელოვნების სოციალური მოვლენების ანა-  
ლიზისას ლუნარსკიემ შექმნა კომპოზიტორის პიროვნე-  
ბის საკუთარი სოციოლოგიური კონცეფცია. ლუნარსკის  
კამპოზიტორის მიდევნება ძირითადად განსხვავდებოდა  
ზოგიერთი მისი თანამედროვის გულგარულ-სოციოლოგი-  
ური პოზიციისაგან. ლუნარსკი ხაზს უსვამდა თითოეუ-  
ლი კომპოზიტორის ინდივიდუალურ, განუმეორებელი  
ნიშნების შესწავლის აუცილებლობას, შემოქმედებითი ნი-  
ჭის უნიკალობას, ბიოგრაფიულ განსაკუთრებულობას და  
ა. შ.

კომპოზიტორის ცხოვრებას და შემოქმედების ინდივი-  
დუალური გამოკვლევის აუცილებლობას იგი იმით ასაბუ-  
თებს, რომ არც ერთ სხვა საქმიანობაში პრობლემა და მას-  
თან დაკავშირებული ზოგადკაცობრიული და ინდივიდუა-  
ლური რიგის პრობლემები არ პოულობს ისეთ მკაფიო  
ხორცშესხმას, როგორც მუსიკალური ხელოვნებაში. „შე-  
ქმედების ორიგინალობა, რიმედიურ ან გამორიცხავს რთულ  
სოციალურ-კლასობრივ დეტერმინანტს. ავლენს ინდივი-  
დუალულის ძალას“. ამიტომაც ლუნარსკი არ განივი-  
ცხავს მხატვრის პიროვნების პრობლემას, შემოქმედის  
სულოვან სამყაროში მიმდინარე რთულ, ზოგჯერ ტრაგიკუ-  
ლად წინააღმდეგობების პროცესს, რომელიც საზოგადოე-  
ბრივი ცხოვრების სხვადასხვა იდეური და ემოციური ძა-  
ლების გადაკვეთის ცენტრს წარმოადგენს და მთელ მის  
სიროტულს ასახავს“.

თავის დროზე ლუნარსკის უსაყვედურებდნენ ხელოვ-  
ანებაში ირაკონიალობის ჯადაგებას, გიგნების მიერ მუსიკა-  
ლური სახეების გარკვეული შეუცნობლობის აღიარებას,  
მუსიკაში ემოციური შინაარსის გაზვიადებას და ინდივი-  
დუალური მომენტების ხაზგასმას. ამაჟამად ეს საყვედუ-  
რები ქებად ისმის, რამდენადაც სწორად ამ ნიშნების  
ურაკყოფა აქცეულდა სქემატურად და კალმხრივად იმ დროის  
მუსიკოსებისა და მუსიკის სოციოლოგების შრომებს  
(ლ. სანაინევის, ს ჩემოდანოვის, ა. გრთან-სოლოვეევის,  
კ. კუნსტეკოვის, ა. ოსტრეკოვის და სხვათა შრომები). შე-  
მოქმედისა და საზოგადოების ურთიერთობის სოციოლოგი-  
ური პრობლემის დაკავშირების მუსიკალური თხზულებების  
ფაქტი ესთეტიკურ ანალიზთან ლუნარსკის სტატეგების  
განუმეორებელ განსაკუთრებულობას წარმოადგენს.

„მუსიკის ისტორია არის მუსიკალური გამომსახველო-  
ბის ფორმების მუდმივი ცვლა, თავის საბოლოო ფაქტო-  
რებში სოციალური ცხოვრებით განსაზღვრული, საბოლოო  
ჯამში კი ადამიანის ფსიქიკის მემკვიდრით რეალიზებული“<sup>5</sup>.  
აქედან გამომდინარეობს შემოქმედი პრობლემის უდღესი  
როლი ხელოვნების ისტორიასა და კაცობრიობის კულ-  
ტურის ისტორიაში. ლუნარსკიემ მუსიკის წარმომბინა  
და განვითარების სოციოლოგიურ ანალიზთან, მისი ფიზი-  
კური და ფიზიოლოგიური საფუძვლების კვლევისათვის, მუსი-  
კალური ნაწარმოებების ფორმალურ-სტრუქტურულ თავი-

სებურებათა კონკრეტულ ანალიზთან ერთად დაასაბუთა  
კომპოზიტორის აზროვნების, მუსიკალური ლოგიკისა და  
შემოქმედების პროცესთან დაკავშირებული სხვა სოცია-  
ლური პრობლემების შესწავლის აუცილებლობა.

მხატვრული გადაწყვეტის უპირავე შესაძლებლობიდან  
იგი ერთს არჩევს და ეს არჩევანი გაპირობებულია, ერთი  
მხრივ, მისი მსოფლმხედველობით, მეორე მხრივ, ფსიქო-  
ფიზიოლოგიური წყობით. მუსიკოსზე სოციალური ზეგავ-  
ლენა ვლინდება მის სტატუსში, ეპოქის განსაკუთრებული,  
განუმეორებელი ნიუანსების გადმოცემაში, იმ შემთხვევა-  
ში კი, როცა იგი თავისი დროსათვის არაკაბიურ ნაწარ-  
მოებს ქმნის. ლუნარსკი წერდა, რომ „...ინდივიდუალო-  
ბის გამოხატვის მეტამეტად ორიგინალურ მეთოდებს  
იზოლაციისაგან, სხვათა მიერ შეუცნობლობისგან მიგა-  
ვართ“<sup>6</sup>.

ლუნარსკი წერდა: ნიჭიერი მხატვარი არის „გარკვე-  
ული კლასის ინდივიდუალის გადმოცემა“. ეს გამოთქმა არ  
უნდა გავიგოთ დენასაზღვრულად და სიტყვა-სიტყვით. ლუ-  
ნარსკის, პირველყოფისა, მხედველობით აქვს მხატვ-  
რის მიერ იმ იდეოლოგიურ-ემოციული დომინანტის გად-  
მოცემა, რომელიც ფლობს გარკვეულ კლასს და რომელსაც  
შეივლით ნიჭიერი ავტორი, რათა შემდეგ თავის შემოქმე-  
დებამ განახორციელოს. დიდი მუსიკალური ნაწარმო-  
ებები მამინ იქმნება, როდესაც დიდი ტალანტი საერთო  
საკაცობრიო იდეებს წამოჭრის, როგორც საკუთარს.

ამიტომაც, ლუნარსკის კომპოზიტორი როდი მიანია  
გარკვეული სოციალური შეკვეთის შემხრულდება გარ-  
კვეულ ისტორიულ ეპოქაში. „ხელოვნების წარმომბინის  
მიზნები განსაკუთრებით სოციალურია, მაგრამ ეს სოცია-  
ლური ცხოვრების ნაირგვარობა სხვადასხვაგვარად, ინდი-  
ვიდუალურად განიცდება. ისინი განიცდება, როგორც ჩემი  
საკუთარი განწყობა, საკუთარი ყოფნის, ტანჯვა, და, აქე-  
დაც გამოიმდინარება, ნაწარმოებები აღქმება როგორც ჩემი  
ნაწარმოებები“<sup>7</sup>.

როგორც ვხედავთ, ამ პრობლემის ლუნარსკი სინთე-  
ტიკურად უდგება მისი პიროვნის განსაკუთრებულობას  
იმაში მდგომარეობდა, რომ ბიოლოგიურ და თუნდაც პა-  
თოლოგიურ ფაქტორებს არ გამორიცხავდა, არ ჩქამავდა  
იმის მტკიცებით, რომ ხელოვნებაში ყველაფერი წმინდა  
სოციოლოგიურ მოვლენას წარმოადგენს.

მართლაც, კლასობრივ-სოციალური ფაქტორის ხელს  
უწყობს მუსიკალური ფორმების, სტილისა, მუსიკის მიხ-  
მარების საშუალებათა ცვლა, ფსიქო-ფიზიოლოგიური  
ფაქტორი კი განსაზღვრავს ადამიანის ბუნებაში არსებულ  
ამ ცვლილებებს. ამიტომ ლუნარსკი როცა ყოველმხრი-  
ვად ფასებდა შემოქმედ პრობლემას, წერდა: „რა არის  
ადამიანი? ეს კითხვა შეიძლება განვსაზღვროთ სოციო-  
ლოგიურადაც, ადამიანი როგორც სოციალური არსება და  
ბიოლოგიურადაც — როგორც ცხოველური არსება“. და  
თუმცა ანთროპოლოგიით დასაბუთებულია, რომ ათასწლეუ-  
ლთა მანძილზე ადამიანი გამოცვალა, დიდი ცვლილება  
განიცადა მისმა ფსიქიკურმა მხარემ; და სწორად აქ შე-  
დავდა ლუნარსკის სოციალური შემოქმედების უღივრის  
გაგონებას, „ვიანიდან ფსიქიკა საზოგადოებრიობას ემორ-  
ჩილება“. ა. ა. ლებედვი თავის მონოგრაფიაში ლუნარსკის  
სისი ამ დებულებაზე ამახვილებს ყურადღებას.

არ შეიძლება არ დავეთხნებოდეთ ლუნარსკის მიერ კომ-  
პოზიტორის პიროვნების ამგვარ ტრაქტატკავს. მუსიკის სო-  
ციოლოგიის, მუსიკისმცოდნეობის მიერ წარმოდგენილი  
მასალის კონკრეტულ-ისტორიული ანალიზისათვის ლუ-  
ნარსკის აუცილებლად მიაჩნდა ინდივიდუალური მიმენ-  
ტის გათქვევდა საზოგადოებრივი, „ისტორიულად კონკ-  
რეტული განთქვევა სოციალურში, სოციოლოგიურში მიხ-

ლოდ ამ ცალკეული კონკრეტული ნიშნების შეცნობით შეიძლება წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი მხრივ, წარმოიქმნება სქემა, ხოლო, მეორე მხრივ, მასთან წინააღმდეგობაში მყოფი სინამდვილე — წყრდა იგი და აქვე აურთხილებდა, რომ „...გაოქმეფვა უნდა მოხდეს ძალზე ფაქიხი და მიფიქრებული ხერხებით“<sup>10</sup>.

ლუნაჩარსკის შემოქმედი პიროვნების სოციალურ ასპექტში შეფასებისას მოკლედ, მაგრამ მახვილად და განმეორებულად ახასიათებს წარსულის მიუღი რიგ კომპოზიტორებს. იგი თვლიდა, რომ „რომანტიკოსი პოეტების (და კომპოზიტორების) ბიოგრაფია გვეხმარება მათი შემოქმედების სოციალური მიზეზების არსის<sup>11</sup> გაგებაში და ამიტომაც, იგი ზოგჯერ ბიოგრაფიული მონათხრობით სარგებლობდა, ისე როგორც ერთგვარ გასაღებით, რომლითაც მეითხველის ყურადღებას უშუალოდ მიაპყრობდა კომპოზიტორის შემოქმედების ლაბორატორიას. მრავალსიტყვებას მოკლებული მკაფიო ფორმულირებით იგი კომპოზიტორის შემოქმედების მისეულ განსაკუთრებულ ვარსკვლავს ხელოვანის პირად თვისებებსა და ცხოვრებისეულ მნიშვნელოვანი მოვლენების დაწვრილებით აღწევდა. მანინე გამოყოფდა კომპოზიტორის დამახასიათებელ ნიშნებს, რომანტიკული გაწყობა იქნებოდა ესა თუ შენატის სიმდიდრე (ბერლიოზი), „გულიანობითობის, ფანტაზიის, პატრიოტიზმის, სინაზის, უშვიკოლი სიყვარულის“ შეხამება<sup>12</sup> (შოპენი), საყაროს შეცვლისაგან გაქცევა და მღვღინე სწრაფვა (სერაბინი) თუ ბეთჰოვენის განზოგადებული ინდივიდუალიზმი და კავანერის გონების ფილოსოფიურ-პოეტური ძალა.

შემდეგ ლუნაჩარსკი აკეთებდა კომპოზიტორის სოციალურ გარემოს ანალიზს, აღწერდა იმ პირობებს, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა, აღწერდა გარემოსთან კავშირს, კომპოზიტორის დამოკიდებულებას საზოგადოებასთან და საზოგადოების დამოკიდებულებას მასთან. შემერტყე წერდა: „მას სურდა ახლო ურთიერთობა ადამიანებთან, სურდა ამ ურთიერთობის დამყარება მუსიკის გზით, მაგრამ ამ რატობა კვლავ სულს უსუსვია“<sup>13</sup>. კავანერის შესახებ ასე უდაბრავოდა: „მას არ შეუძლია დაკმაყოფილდეს იმით, რომ მოვლენები განმარტვით ააღუფოს მსმენელები. მას სურს ამ მოვლენებში დაიპყროს ადამიანის შეგნება, გამოსტავოს იგი ყოველდღიურობას და ატყორცნოს შეგნაში, საიდანაც მის წინაშე გადასინება ყოფიერების აზრი“<sup>14</sup>. ლუნაჩარსკი აღნიშნავდა, რომ მუსორგსკი დიდი ხნის მანძილზე არ იყო აღიარებული პროფესიონალების მიერ, და პირიქით, დეკონსტრუქციულ საზოგადოება აღფრთოვანებით ხედავდა მის „ბორის გიდუნოვს“<sup>15</sup>. დამოხდის, ლუნაჩარსკი დიდ ყურადღებას უთმობდა ძირითად ღერძის — სოციალური იდეის გამოკვეთას, რითაც განპირობებული იყო მხატვრის მთელი შემოქმედება. ეს არის „რამდენადმე ტანკინი ძალიან ძლიერი აზრის ატმოსფერო, რომელიც ტანკინის მუსიკაშია გაბატონებული“<sup>16</sup>. გოლიათურია ბეთჰოვენთან სინარტული განმობა, აღმოცენებული სასურველთაასთან ბძობაში. რინარდ შტრაუსის მუსიკის გარეგნული სახეობითა და პერიოკულია კონკრეტულ სახეს იღებს ვირტუოზულ ბგერით ფერწერაში<sup>17</sup>; მუსორგსკის მიუხედავად, მძლავრი მუზა დაბამული ყურადღებით მიუგებდა ყურს მშობლიური ხალხის უსაზღვრო უწილს“<sup>18</sup>.

ლუნაჩარსკი, როგორც მარქსისტი-ფილოსოფოსი, საკუთარი თავის, როგორც მხატვარი-მუსიკოსი, ერთგულად ამიტკავდა მის წყრილებში კომპოზიტორთა შემოქმედების ისტორიული გარემოს აღწერა, გარკვეული სოციალურ-ისტორიული მიმდინარის პრობლემები და იდეალები ერთმანეთში ბუნებრივად არის გადაწული. იგი ლოკავრად

აგვირგვინებს მხატვრებსა და ცალკეულ მუსიკალურ ნაწარმოებებს საუბარს, რომელიმე მუსიკალური ფორმის (როგორცაა, მაგალითად, მუსიკალური დრამა) ევოლუციების გარკვევა მისი სტატეგიის მთლიანსა და დასრულებულ მხატვრულ სტილს წარმოავადგენს.

იგი ამბობდა, რომ სერაბინის მოწოდებებით რეფორმაციის ატმოსფერო გარდატეხა „სრულიად თავისებურ პირობებში, შეიქმნა საყაროს გათვლილი უსარანაზარი ძალის მიერ დამანგრეველი და მაღალი მიზნებისაკენ მისწრაფებული ძალის მიერ, რომელიც აფეთქების გარეშე საყაროს მშფოთვარი, ბოთოკარ სიტრელს“<sup>19</sup>. რ. შტრაუსის შემოქმედებაში გამოხატვის აწარს ბერხების ძიებას რომ აღნიშნავდა, ლუნაჩარსკი უნდა: „ახალ დროებას მართლაც ახასიათებს სიახლის წყურვილი და გარეგნული ეფექტებისაკენ სწრაფვა. ეს კი ჩვენი კონკურენციის, ჩვენი კულტურული ცხოვრების სწრაფი წინსვლის, უგემობის, მაღალკანავითარებული კავიკაღიზნის მიქცვის სირთულეებისა და დაუნდობლობის შედეგია“<sup>20</sup>. ჩაიკოვსკის, რომელიც რანზონინელთა მოძრაობის, საზოგადოებრივ განწყობილებათა დაცემის ეპოქის მოწაფეა, ლუნაჩარსკი წერდა: „...ინტელიგენციის სიმწიფელმა გულგულურებას თავისი დადი დასავა დიდი კომპოზიტორის თავისებურ, ნახ, ფაქრი, ღრმად სათით ხატურას“<sup>21</sup>.

და სრულიად ბუნებრივად, რომ ლუნაჩარსკი პარალელს ავლებს ცალკეულ მხატვარს და შემდგომი თაობების შემოქმედება შორის, ცდილობს დააუსტკოს მის შემოქმედების რა თავისებურებამ ჰქონა განვითარება, რამე გამოიხატა მისი მხატვრულ-ესთეტიკური გავლენა ხელოვნების განვითარების ისტორიულ სვლაში. მას ყურადღების გარეშე არ რჩება მიდგომების ტემპერამენტი, სახიათის ერთეული ნიშნები. მაგრამ ამ ანალიზში ეს წამყვანი როლია, იგი გაშუქებას პოულობს მხოლოდ უფრო ღრმა სოციოლოგიური განსჯისას.

ამგვარად, პიროვნების ბუნებრივ-ბიოლოგიური ნიჭიერების გარდა, რაც ხელოვნების ევოლუციის პირობას წარმოადგენს, ლუნაჩარსკი სუბიექტში, პირველყოფილს, ხედავდა მისი გარემოს ნიშნების ხორცშესხმას, იმ საზოგადოების, რომელშიც მისი შემოქმედება აღმოცენდა. გარკვეული ისტორიული საზოგადოება სოციალურ-კონომიური ჩარჩოების ქმნის და განსაზღვრავს მხატვრული შემოქმედების სტრუქტურულ-ტექნიკურ საშუალებებს. მაგრამ მუსიკალურ-შემოქმედებითი პროცესი, რომლისაც სოციალური ცხოვრება განსაზღვრავს, საბოლოოდ მუდამ ადამიანური ფსიქიკითაა რეალიზებული. კომპოზიტორთა შემოქმედება ყოველთვის მისი გარემო ცხოვრების ასახვაა, ამასთან, იგი შეიძლება შეგნებულ ასახვაც იყოს და გარემოდან, ტრადიციულად, ჩვეულებრივად აღებული იმპულსების გამოვლენის შეგნებულ ხერხებზეც და. შ., თეორია, რომ განთისსიათის ქმნის ისტორიას, დიდი ხანია აღარ არის აქტუალური. პირიქით — ისტორია წარმოშობს ჩარჩოებს, რომელშიც ქმნის გენიალური პიროვნებანი<sup>22</sup>. იმის გარკვევა თუ როგორ და რა გზებით ხორციელდება საზოგადოების გავლენა ინდივიდუალურ შემოქმედებაზე, არის მუსიკის სოციოლოგიის ერთ-ერთი უთუღესი და უმნიშვნელოვანესი საკითხი.

ლუნაჩარსკი ამ საკითხს უღვებოდა მთელი სერიოზულობით. ამის მაგალითად ემდებება კომპოზიტორის თვით შემოქმედებითი პროცესის თავისებური ინტერპრეტაცია. მუსიკაში, მის ორგანიზებულობაში, ბგერითი კომპონენტების ისტორიულად ჩამოყალიბებულ სისტემაში იგი ხედავდა ადამიანური ლოგიკის გამოვლენას, წინა თაობების მიერ დაგროვილი მუსიკალური გამოცდილების გააზრებულ გამოყენებას, ლუნაჩარსკის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მიაჩნდა კომპოზიტორის შემოქმედებითი უნარი — მთელი

თავისი ცხოვრებისეული გამოცდილება, განცდები, გრძობა, გარემო სინამდვილიან მიღებული იმპულსები გარდემენა მუსიკალურ მთლიანობად.

ცნობილია, რომ ძალზე მნიშვნელოვანია კომპოზიტორის შემოთაბა ნაწარმოების კონსტრუქციულ მხარეზე, რადგან იგი ასახავს შემოქმედის მისწრაფებას მაქსიმალური გამომსახველობისაკენ, ეს რელიად შეგნებული კონსტრუქციული მოღვაწეობაა, არც მასალის შერჩევა, მის გარდასახვა ეყრდნობა. კომპოზიტორი ქმნის ერთგვარ „მუსიკალურ აზრებით“, რაც სახეთა კონკრეტულ ენაზე არ გადაიტანება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი გვევლინება, როგორც ადამიანის სოციალურ განცდათა შეჭრა მუსიკის დინამიკის საშაყროში. მწყობრ მუსიკალურ ქმნილებებში, რომელიც გარკვეულ მთლიან შთანაფიქრს წარმოქმნის, ლუნაარსკი პოლუოდა აზროვნების თავისებურ პროცესს, თავისებურ ლოგიკას — არანაყოფ მნიშვნელოვანს, აუცილებელს, ვიდრე ცნებების და ზეპირი აზროვნებისას, მაგრამ მაინც სხვაგვარს<sup>20</sup>. სხვა ადგილას იგი ამდებრებას ავითარებს: „მუსიკალური გინება“ თავის თავში შეიცავს შეუცნობელს, იმ აზრით, რომ მოძრაობის მუსიკალურ ცნებებში, რომელიც ინტელექტუალურ ენაზე ა. ე. ცნებებისა და სიდიდეთა ენაზე არ გადაიოდს.<sup>21</sup> მუსიკალური აზროვნების პროცესი შეიცავს როგორც ინტელექტური ჩანაფიქრის მოძებრეს, ისე შეგნებულ ფორმალურ დამუშავებას. ამიტომაც, ნაწარმოები მთლიანად, ნაკარნახები იქნება, ერთი მხრივ, რელისტიური მოძებრით, ე. ი. იმავე მუსიკისის მისწრაფებით — არ დაარღვიოს ბეგრათა შინაგანი ლოგიკა, აღიარებული მოცემული მუსიკალური სისტემით<sup>22</sup>.

როდესაც კომპოზიტორი ი. ტულინის მუსიკალურ აზროვნებას ანალიზებდა, კვლავ ხაზს უსვამდა, ერთი მხრივ, მისეული აზროვნების არა ლეგალურობას, მეორე მხრივ, მის უნარს მუსიკალურ მოვლეთა აბსტრაქტიზებისა და განსწავლებისა. ლუნაარსკის ამ დებულების განხილვებებს ვხვდეთ აგრეთვე ბ. ასაფევის, ს. რაპპორტის, ე. ნაზაინსკის ნაშრომებში.

ამრიგად, თანამედროვე საბჭოთა მკვლევარების ნაშრომებში დასაბუთება ჰპოვა ლუნაარსკის შეგნებულმა კომპოზიტორის შემოქმედებით აქტიუ შეგნებულ დამუშავების მნიშვნელოვანი როლის შესახებ. მაგრამ მთავარი, რასაც მუდამ ხაზს უსვამდა ლუნაარსკი, ეს იყო ის, რომ მუსიკალური აზროვნება, კომპოზიტორის ლოგიკა თავის თავში შეიცავს მნიშვნელოვან ადამიანურ განცდებს, მის აზრებსა და იდეებს, რაშიც მუსიკალური ნაწარმოების სოციალური მნიშვნელობა იფარება. თავის მავჯობის შეჯამებისას ლუნაარსკი იმ დასკვნამდე მიიოდდა, რომ „თვით, ასე ვთქვათ, „სუფთა“ კონსტრუქციებს, წმინდა მუსიკალურ ლოგიკას რომ მიჰყვებიან, განაჩნათ ცხოვრებისეული, სულიერი, ფსიქოლოგიური-სოციალური შინაარსი“<sup>23</sup>. როგორც ვხვდეთ, ლუნაარსკის ეს განსჯანი შემოქმედებითი პროცესის ირგვლივ განუყრელად უკავშირდება მუსიკაში ფორმისა და შინაარსის შესატყვისების პრობლემას. ლუნაარსკი მკაფიოდ აიგივებს ფორმას „მუსიკალური ნაწარმოების შინაარსთან“<sup>24</sup>. და, ამდენად, მას მშვენივრად ემშობა მუსიკალურ ნაწარმოებში ფორმისა და შინაარსის მთლიანობა.

მუსიკის არსზე, მუსიკაში სინამდვილის ასახვის პრობლემაზე, შემოქმედებით პროცესზე და კომპოზიტორის მუსიკალური აზროვნების ირგვლივ ჩამოყალიბებულ თავის დებულებებში ლუნაარსკი არსად არ ამარტივებს პრობლემებს, გვირდს არ უვლის წარმოშობილ სინდრეებს, საკითხები არ დაჰყავს საერთოდ მიღებულ დებულებებამდე. ზოგჯერ იგი მუსიკას გაურკვეველს, არაკონკრე-

ტულს, არაკრიტიკულ მნიშვნელოვანს უწოდებს, მაგრამ ამავე დროს, იგი მასში ხედავს კომპოზიტორის შინაგანი სამყაროს სინალს და, პირველყოფილსა, „ადამიანის იდეური და ემოციური განცდების გასოცარ დიქციონტის“<sup>25</sup>.

ლუნაარსკის დასკვნები, მიუხედავად მათი დაშორებულობისა, მნიშვნელოვანია, პირველყოფილსა, დროის პოზიციებთან, რომელზეც ისინი ჩამოყალიბდნენ. მათში ჩანს, თუ როგორ ძლიერად უპირისპირდებოდ იგი ყოველგვარ ვულგარიატურულ ტენდენციას. ფორმალისტურ და სუბიექტივისტურ მიმართულებას; ჩანს, თუ როგორც ფართოდ იზილავდა იგი მუსიკალური სოციოლოგიის პრობლემებს.

საბჭოთა მუსიკალური სოციოლოგიის შექმნის საწყისი პერიოდისაში მიძღვნილი მისი შრომები ჩვენს თაობას ჯელს უწყობს სწორი ისტორიული წარმოდგენის შემოქმედებაში. რამდენადაც ის შრომები არა მხოლოდ ისტორიულადაა საინტერესო; ბევრი რამ, რაც ბრძოლაში იყო 20-იანი წლების მუსიკალურ-თეორიულ დიპლომაში და რამაც შემდგომში საბჭოთა მუსიკისცოდნების განვითარება განსაზღვრა, ამიოდრებს ჩვენს წარმოდგენებს და, შესატყვისად, ხელს უწყობს მუსიკალური მეცნიერების შემდგომ განვითარებას. მათ რიცხვებშია ლუნაარსკის მუსიკალურ-კრიტიკული მემკვიდრეობა. ორიგინალური, ზოგჯერ პარადოქსული დასკვნები ლუნაარსკისა აღვივებენ შემოქმედების აზრს, უნიძებუნ მას შორეული კითხვებისაკენ, ისინავეთ ხვადასხვა მიზნებს, მიუხედავად ამისა, ისინი მუდამ წამყვენ სოციოლოგიურ ღერძს უკავშირდებიან.

შენიშვნები:

- 1 ა. ე. ლუნაარსკი, თხზულებათა კრებული 8 ტომად, 1962-1967, მუსკოვი, ტ. VII, გვ. 115.
- 2 იქვე, გვ. 80.
- 3 პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ა. ელკინის, ა. კრ-ვშენკოვსა და ა. ლუბედკვის ნაშრომები.
- 4 ლ. ი. ნოვოილოვა. ხელოვნების სოციოლოგია (20-იანი წლებს საბჭოთა ესთეტიკის ისტორიადან) ლენინგრადის უნივერსიტეტის გამომც. 1968, გვ. 86.
- 5 Zofia Lissa, Podlady Anatola Lunaczarkiego na musika, Str. 333.
- 6 ა. ე. ლუნაარსკი, მუსიკის საშაყროში, გვ. 371.
- 7 ა. ე. ლუნაარსკი, თხზულებათა კრებული 8 ტომად. 2. 1967, ტ. VIII, გვ. 83.
- 8 იქვე, VIII, გვ. 82.
- 9 იქვე.
- 10 ა. ე. ლუნაარსკი, მუსიკის საშაყროში, გვ. 37.
- 11 იქვე, გვ. 362.
- 12 იქვე, გვ. 404.
- 13 იქვე, გვ. 131.
- 14 იქვე, გვ. 72.
- 15 იქვე, გვ. 420.
- 16 იქვე, გვ. 139.
- 17 იქვე, გვ. 65.
- 18 იქვე, გვ. 159.
- 19 Zofia Lissa, Wstep do murhologii Warszawa PWN, 1970, Str. 151.
- 20 ა. ე. ლუნაარსკი, მუსიკის საშაყროში, გვ. 140.
- 21 იქვე, გვ. 224.
- 22 იქვე, გვ. 152-153.
- 23 იქვე, გვ. 441.
- 24 იქვე, გვ. 225.
- 25 იქვე, გვ. 117.

1925-1926 წლებში გამოვიდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ამხატვრო-სალიტერატურო ორგანოს „მერცხლის“ პირველი ნომერი. ჟურნალის სარედაქციო კოლექტივში შედიოდნენ: ალიო მამაშვილი, ნოე ზომლეთელი, ბენიკო ბუაჩიძე, დავით რონდელი.

პირველ ნომერს წამძღვარებული აქვს „წინასიტყვა“, სადაც ნათქვამია:

„პროლეტარიატის რევოლუციური ხელოვნება-ლიტერატურის შექმნისათვის „ორმაგი აუცილებლობაა“. პირველი — წარსულის და არსებული ხელოვნება არის გასულ ეპოქაში სოციალურად დაპირისპირებულ ფენის, ბურჟუაზიის სულიერ სახის გამოხატულება, ის კლასიურისა და, როგორც ასეთი, გარკვეულ შინაარსის და ფორმის მქონე პროლეტარიტი ვერ მიიჩნევა თავისათ და ვერ მიიღებს მისდამი დაპირისპირებულ უცხო კლასის აუცილებელ მოქმედებას, რადგან სუ მძაფრად ჩნდება კლასიური ურთიერთობის, სზრის, მიზნის და დანიშნულების სხვადასხვაობა. მთავარი ფაქტორი-გვიური შეთავსებლობაც არის: ახალ საზოგადოებრივობის აღმშენებლობისათვის მებრძოლი რევოლუციონერად განწყობილი მუშათა კლასის სულიერი ვერ შეუვადება უკვე ისტორიულად მომაკვდავ კლასის ფსიქოლოგიას, განცდას და მისწრაფებას, რომელიც არიან განსხვავებულბული ხელოვნებაში. ეს ექნებოდა რეაქტია.

მორე: მუშათა კლასი ამჟღავნებს უნარს და მისწრაფებას თავისი სულიერი შემოქმედების განმტკიცება-საჭიროებისას. „ამ ნიადაგზე იმღებდა მასის ინდივიდუალურ-კოლექტიური შემოქმედებითი საწყისები, რომელიც არის ტიპებული უდიდესი მნიშვნელობის მქონე მომავალი საზოგადოების „გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ პ ე რ ი ო დ ის“ კ უ ლ ტ უ რ ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს“ (გვ. 2) მითლიან ახასიოსათვის“.

სარედაქციო წერილში მოცემულია პროლეტარული ლიტერატურის პერიოდიზაციის ასეთი სქემა: „მისი პროლეტარული ლიტერატურის, კ. დ. ჩანასახები ჩნდება ჯერ კიდევ უპროლეტარულ წარსულის არალეგალურ პარობების, სუსტი — მაგრამ იმ თავიდანვე კლასიურ ბრძოლის იარაღი. ვიდრე: სამხედრო კომუნიზმის დროის, ის იყო გამწვანებულ ბრძოლის ლირიკა, პათოსი, რომელიც თითქმის შეუწირა ავტოტაციას“. რვე-

# უზრცლადი ქართული ლიტერატურული პრესის ისტორიიდან

კახა ძიძიგური

ლუციის ახალი პერიოდი კი ახალ ამოცანებს უყენებს პროლეტარულ ლიტერატურას. რაში გამოიხატება ეს ამოცანები უფრო მიახლოებით და ხორცმუსხმულად? „საჭიროა უკვე ცხოვრების კონკრეტული კუთხვების გარდამოახახვა მხატვრულ ათვისებით. საავტაციო ფრაგმენტები და გრძნობის დაჭიმული პათოსი გადაღის მერორე მხარეში და ადვილს უთმობს ფართე მხატვრულ ტილოს, რომელიც ელის კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ეპოქის ამსახავ მხატვრებს“ (გვ. 4).

სარედაქციო წერილში ისიც არის ნათქვამი, რომ ჩვენში, საქართველოში, პროლეტარულ ლიტერატურას თავისი განვითარების ისტორია და გარკვეული პერიოდები აქვს. დღევანდელი პერიოდი აღინიშნება ლიტერატურული ჩამოყალიბების, ორგანიზაციული მთლიანობის ფაქტით. „მსოფლმხვედველობის და მხატვრული ათვისების რეალობი ნიშნავს, — ხაზგასმულია ჟურნალის საპროგრამო წერილში, — არა ფორმალურ ეკლექტიზმის და დეკადენტური სიცარიელოთ ეწინააღმდეგება დამუცმაცება-თვითინიშნობას, არამედ ფორმის სინთეზი ურ ს რ უ მ ე ო ფ ა ს“. კლასიკური ლიტერატურული ფორმები უნდა იქნეს დაძლეული, რათა შეიქმნას ახალი ფორმა!

ეს არის, მამასადამე, პროლეტარული ლიტერატურის განვითარების ის პერიოდი, რომელიც გულისხმობს ძველი ფორმების დაძლეევას, რომ „ახალი შინაარს-

სი განსხვავებული იქმნეს ახალ ფორმაში“ (გვ. 4).

წერილში საკანგებოდა არის აღნიშნული მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკისადმი განსაკუთრებული ყურადღების დათმობის აუცილებლობის შესახებ.

ამრიგად, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ახალ ორგანოში მკვეთრად არის დასმული ტრადიციული ლიტერატურული ფორმების დაძლევისა და ახალი მხატვრული ფორმების დაწერვის პრობლემა. ეს არის პროლეტარული მწერლობის ამოცანა.

ჟურნალში წარმოდგენილია სამი გახყოფილება: პოეზია, პროზა, კრიტიკა.

პირველი გახყოფილება იხსნება ა. ბუმბარაგის (მამაშვილის) ლირიკული ლექსის „ლოდინი“.

წ. ზომლეთელის ლექსში „დეკემბრის აჯანყება“ ასახულია 1905 წლის რევოლუციის სურათები. აქვე დაბეჭდილია კონსტანტინე ლორთქიფანიძის ლექსი „ოდა (შე დაძვინდებოდა“.

პ. სამსონაძის ლექსში პოემიდან „გველები“ (თავი მორე) მოცემულია საზარელი სურათი საქართველოს წარსულიდან. როცა „ყველგან კიდითკიდებდნენ კანააა და ცრემლები, ყველგან გულ-შემზარავი ტყვიანიშტი ტრიალებს... ქალებს ხმლებითი კაწავენ... ბავშვებს წვავენ ქურაში“ და ა. შ.

ს. კელი ლექსში „სინიდისი და პოეტა“ (ნიკოლოზ მიწრევილის

„პოეტის“): განმარტავს პოეტის მაღალ დანიშნულებას.

ქურნალში დაბეჭდილია აგრეთვე სხვა ლექსებიც: დ. რანდელის „იჭა“, თ. გამაზრდიას „არსება ჯორჯიამეი-ნი“, ბ. ბუაჩიძის „სადაფის გული“ (ნაწყვეტი პიესიდან), გ. მიდინის „დაღუსტანი“, გ. გუგუხავას „თეო-ნი“, ვ. ნაუსიშვილის „მოკრინისათვის“, ბ. ნაწყვეტი ი. ასათიანის პიეზი-დან „რეკლუსია“, გ. შინატხელის „1905 წლის 29 აგვისტო“, გ. გურ-ელის „ჩინეთი“, ე. პოლუმორდი-ნოვის „ძველს“.

პროზის განყოფილებაში დაბეჭ-დილია სემზის ერთაწინმდღის „სი-სხლის ღვრის ღამეს“, რომელიც წარმოადგენს ეპიზოდს რევოლუციო-ნერების ცხოვრებიდან; კონსტანტინე ლორთქიფანიძის „მეტა როგავა“, პლატონ ლობიას „გაგვიანებული დობორჭ“ (მოთხრობა სამეგრელოს ცხოვრებიდან).

შესამე განყოფილებაში წარმოდ-გებულია კრიტიკოსების — ბენიკო ბუაჩიძისა და შალვა რადიანის წე-რილები.

ბენიკო ბუაჩიძე წერილში „პრო-ლეტარული ლიტერატურის აწეული პერსპექტივები“ იხილავს მნიშვნე-ლოვან საკითხებს: ლიტერატურის სოციალური ფუნქცია, ხელოვნება — როგორც ეპოქის განსაზღვრება და გან-სჯელობა კლასის სუბსტრუქციის, პროლეტარიატის ლიტერატურა — როგორც დაპირისპირება და მომავ-ლის ნიდაფი, რას ნიშნავს პროლე-ტარული ლიტერატურა, ფორმა და შინაარსი, როგორია პროლეტარული ლიტერატურის პერსპექტივები.

აქტორი ზოგადად არაკვებს ლი-ტერატურის სოციალური ფუნქციის სა-კითხვს და გყრდნობა დებულებას: ლიტერატურა არ არსებობს დროსა და სივრცის გარეშე, „მას აქვს გამოყოფილი სოციალური ფუნქცია“.

დახასიათებულია იმპრესიონიზ-მის, ექსპრესიონიზმის, სიმბო-ლიზმის, ფუტურისმისა და სხვა მი-მართულებათა სოციალური საფუძვე-ლები, ხელოვნების რაობა და სხვა. ხასჯანსაღია შექმნილი გაგრძობა: „პროლეტარიატის კლასური ინ-ტერესები ითხოვს, რომ შექმნიეს მისი საკუთარი ხელოვნება, რომ მი-სი საშუალებით განზოგადებულ იქ-ნეს გარნაობა, მოხდეს მუშათა კლას-ის ფსიქიური დათანწყობება და შე-მცხებია, გაცდნითი იქნეს მომავ-ლის მიზნების და ახალ საზოგადო-ებოვ ადმუნიტრაციის მიმართულე-ბით... პროლეტარიატის ხელოვნებ-ლიტერატურა წარმოადგენს სოცია-

ლისტურ საზოგადოების ლიტერატურ-ის წინამძღვარს, მის ნიდაფს“ (გვ. 94).

ბ. ბუაჩიძე აყენებს კითხვას: რას ნიშნავს „პროლეტარული ლიტერატურა“? მუშათა კლასმა შექმნა და-მოყოფილებელი ფილოსოფია — შარქ-სისხი, რაც გულისხმობს ცხოვრებ-ს, „ათვისებას“ და ანალიზს კლასი-ზმის ცხოვრების მხატვრულ ათვის-ბური ლიტერატურა-ხელოვნება შე-ქმნა მუშათა კლასმა, რაც გულისხ-მობს ცხოვრების მხატვრულ ათვის-ებას. აქტორი მსჯელობს ტერმინო-ლოგიურ მხარეს: „პროლეტარული“ თუ „რევოლუციონური“ მწერლობა? ამ საკითხის ირგვლივ გარკვეული დავა არსებობდა. ამ ორი ცნების და-ცილებლა-გამომცალკეება „შემახიე-ური მიჯნებისა და გუგუხობისა“, — ამბობს სტაკაიტს აქტორი. „კინც ცხოვრების, მომავლის ან მოლოანება სინამდვილის და მისი განვითარების გაგება-მიდგომაში პროლეტარიატის თვალსაზრისსე არა სდგას, ის არ შეიძლება იყოს რევოლუციონერი“ (გვ. 95). ამ საკითხთან დაკავშირე-ბით დასმულია კითხვა გ ლ ე ქ უ რ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ა და მისი და-მოვიდებულების შესახებ პროლეტარ-ული ლიტერატურათან.

მოკლესწილი აქტორს: „ძირითა-დად პროლეტარული ლიტერატურის შექმნის მეტიც და პირდაპირი შესაძ-ლებლობა არის ინდუსტრიალურ პროლეტარიატის მიერ; გლეხური ლიტერატურა იმდენათ ჩაეგსივება და შეუღლაბდება პროლეტარულ ლიტერატურას, რამდენადაც ის იქ-ნება მოქცეული მისი უშუალო გაჯ-ნების ქვეშ, რამდენადაც ის იქნება დამდგარი პროლეტარიატის კლასი-ურ თვალსაზრისსე; ხელმძღვანე-ლობა და იდეოლოგიურ ჰეგემონი-ზმის პრიმატი უნდა გუთვინდეს მუშათა კლასს. გლეხის წერელ-ბურ-ჟუაზიული, საკუთრების მოტრფი-ლი ბუნება — საკუთარი იდეოლო-გიის გარდაქმნით — უნდა შეუთავა-ნებეს მუშის კოლექტიურ გაშლელ ბუ-ენებს; უნდა იყოს მისი იდეოლოგი-ური თანამჯსარი. პროლეტარულ ლიტერატურაში გლეხური გადარსა საშეში და დაუშევილია“ (გვ. 95).

ბ. ბუაჩიძე დაუშევილად თვლის პროლეტარიატის რევოლუციური ლი-ტერატურის შემოფარგვლას ბრძო-ლისა და შრომის თემატიკით. ეს ორი ატრიბუტი აქტორს არ მიაჩნია პროლეტარული ლიტერატურის ს კ ე-ც ი ფ ი კ უ რ თ ვ ი ე უ ბ ა დ. „შეუ-ძლებელია არსებობდეს ისეთი დიდი მწერალი, შეგრძნების უნარი მქონე

